მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ (ᲗᲐᲛᲣᲖᲘ) №7 (393) (5774) 2014

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ „Mister Yes“ — ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ

კეთილი ღიმილისა და დიალოგისათვის მუდამ გახსნილობის გამო, ასე ეძახდნენ გამორჩეულ დიდ ქართველ პოლიტიკოსს — ედუარდ შევარდნაძეს. ედუარდ შევარდნაძე ათეულობით წელი მართავდა საქართველოს, ხასიათდებოდა იდეისადმი ერთგულებით, ამიტომ წინა პლანზე კანონისადმი ერთგულებას აყენებდა. იგი ისევე, როგორც მისი წინამორბედი ქართველნი, იმპერიის სამსახურში იდგა, ატარებდა იმპერიის ინტერესებს, მაგრამ მისთვის თანდაყოლილი ნიჭის, მოქნილობის მეოხებით, ახერხებდა საქართველოს ეროვნული ინტერესებიც დაეცვა, ქვეყნისათვის შეემატებინა ის, რაც საჭიროდ, აუცილებლად მიაჩნდა. ეს იყო ელვარე ნიჭის ადამიანი, რომლის საქართველოში მმართველობის წლებში ყურადღება გამახვილდა ისტორიულ ძეგლებზე, ქართულ სიძველეებზე, იგი იყო მეგობარი და ჭირისუფალი ქართული მწერლობის, თეატრის, კინოს, მეცნიერების წარმომადგენელებისა. მისი ხელმძღვანელობის წლებში ქართულმა კულტურამ, მეცნიერებამ დიდი აღმავლობა განიცადა.

ედუარდ შევარდნაძე დიდად აფასებდა ებრაელ ხალხს, ისრაელის სახელმწიფოს. როცა იგი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, იმეცადინა იმისათვის, რომ მწვანე შუქი ანთებულიყო ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციის მსურველთათვის. მისი დამსახურებაა ის, რომ დღეს ისრაელთან თავისუფალი მიმოსვლაა. იგი სამჯერ იმყოფებოდა ისრაელში და განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა ამ ქვეყანას.

ე. შევარდნაძეს საქართველოში ოპონენტებიც ბევრი ჰყავდა ისე როგორც ყოველ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოღვაწეს, მაგრამ მისი პატივისმცემელნი მთელ მსოფლიოში არიან.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

მიმდინარე წლის 8-11 სექტემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება დიდი სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი კავკასიის ქვეყნების ებრაელობის ისტორიის, ეთნოგრაფიის და სხვა საკითხებისადმი.

გაზეთ „მენორას“ კორესპონდენტი ეწვია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორს, ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს.

ბ-ნმა გურამმა საუბარი ისრაელის ცენტრის მუშაობით დაიწყო:

— 1985 წელს უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა იუდაიკის კაბინეტი, ხოლო 90-იან წლებში გადაკეთდა ჰუმანიტარულ კაბინეტად — ისრაელის ცენტრად. ამ ცენტრს ჰყავს ორი თანამშრომელი.

ჩვენი ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ებრაელობაზე, ისრაელზე საარქივო მასალების მოძიება და სისტემატიზაცია. ზღვა მასალაა და საკმაოდ შრომატევადი. წარმოიდგინეთ, ჩამოდიან ისრაელიდან და გვთხოვენ ამ მასალებს. ამას წინათ იყო დაკვეთა კულაშის ებრაელებზე. არ ვიცოდით, რომ კულაშის და ქუთაისის ებრაელებს დიდი ქიშპობა ჰქონიათ, იმის გამო, რომ კულაშში უფრო ადრე ჰქონიათ ძლიერი რელიგიური კერები. ჩვენმა სპეციალისტმა არქივში მოიძია დოკუმენტები, სადაც დამოწმებულია, რომ ქუთაისთან შედარებით კულაშში, მართლაც უფრო ადრე ყოფილა გახსნილი 2 კლასიანი სასწავლებელი, სადაც თორასაც ასწავლიდნენ. სასწავლებელი ქართველებს გაუხსნიათ. ჩვენი სტუმარი ფრიად გახარებული წავიდა ამ დოკუმენტაციით. რისთვის უნდოდა, არ ვიცი, მაგრამ ასეთი სტუმრების რიცხვი ცენტრში ხშირია.

ასევე ჩვენ ვაახლებთ არქივიდან მოძიებულ დოკუმენტს. მე შემიძლია გადმოგცეთ ახლადმოძიებული დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია თუ როგორ უკრძალავდნენ ებრაელებს რუსეთში სასწავლებლად შესვლას. ეს სახელმწიფო პოლიტიკა გახლდათ და პირდაპირ ცირკულარები იყო გაცემული.

— რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ, რომ ეს დაიბეჭდოს?

— დიდი სიამოვნებით, ეს ხომ ისტორიაა.

— ბატონო გურამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ ცენტრის უმთავრესი საქმიანობა არის არქივების სისტემატიზაცია...

— და ებრაული დასახლებული ადგილების დატანა რუკაზე. რა თქმა უნდა, თუ ვიშოვეთ თანხა. სამწუხაროდ, ეს არავის უნდა. მიგნებული გვაქვს ადგილი „ზანავ“, რაც ებრაულად ნიშნავს ქალაქის კუდს. მცხეთასთან რომ სოფელი ზანავია სწორედ აქ დასახლდნენ ებრაელები. წყაროში მითითებულია „მცხეთის კუდი“, დასახლდნენ წყაროსთანო. ახლახან გონიოშიც აღმოჩნდა აგურის ფილები. ჩვენი მთავარი მიზანია ებრაელთა დასახლების ზუსტი რუკის შედგენა. ყოველივეს ვაკეთებთ ენთუზიაზმით და საარქივო მასალები დიდი რაოდენობით გვაქვს მოგროვილი. არც ვმალავ, რომ ლობირებას ვუკეთებ ებრაული თემის საქმიანობას. სამთავრობო ორგანიზაციებთან ახლახანს მოსკოვიდან ჩამოვიდნენ „სოხნუთის“ წარმომადგენლები 150 კაცის შემადგენლობით. ჩავატარეთ ლექციები ებრაული თემის ისტორიაზე. მომივიდა დიდი მადლობის წერილები. სწორედ ამ საქმიანობის შედეგია ეს ერთობლივი კონფერენცია.

— დღეს კი კონფერენციისათვის ემზადებით.

— დიახ. ჩატარდება უმაღლესი დონის კონფერენცია. მოწვეულია მთავრობა — პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი. ისრაელიდან ჩამოვლენ მინისტრები, მათი მოადგილეები, ქნესეთის ორი წევრი, ბარ-ილანის რელიგიური უნივერსიტეტის რექტორი.

— რა არის ამ კონფერენციის უწინარესი მიზანი?

— მოგეხსენებათ, რომ ებრაელების რიცხვმა მკვეთრად იკლო საქართველოში. გვინდა მათი კვალი არ წაიშალოს. გვსურს ერთი მხრივ, ვაჩვენოთ ქართველი ებრაელების ადგილი მსოფლიო ებრაულ დიასპორაში, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთსა და მთელ ცენტრალურ აზიაში.

ეს კონფერენცია დიდი მოვლენაა, როგორც საქართველოს, ასევე ებრაული ერის ცხოვრებაში.

ᲩᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

ერთი სკანდალის ირგვლივ

სიცოცხლეშივე უკვდავყოფილი

იბეჭდება ყოველგვარი კომენტარის გარეშე, მხოლოდ ისრაელის პრესის მასალები

გაზეთი „ჰაარეცი“ (ისრაელი)
2014 წლის 10 მარტი

ქუჩებზე სახელთა მიმნიჭებელმა კომისიამ თანხმობა განაცხადა ქ.აშკელონის მერიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სახელი მიენიჭოს ამ ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას

კრიტერიუმების მიხედვით, პიროვნების სახელის უკვდავსაყოფად საჭიროა მისი გარდაცვალებიდან ორი წელი დავიცადოთ. თუმცა,ქალაქის საბჭოს უფლება აქვს დაუშვას გამონაკლისი—პიროვნების სახელი სიცოცხლეშივე უკვდავჰყოს.

აშკელონის მერიის ქუჩებზე სახელთა მიმნიჭებელმა კომისიამ ნება დართო ამ ქალაქის მერის მოადგილის—შაბთაი ცურის სახელი ეწოდოს აშკელონის ერთ-ერთ ქუჩას.

გასულ კვირას ეს კომისია შეიკრიბა და გადაწყვიტა დააკმაყოფილოს შაბთაი ცურის თხოვნა. შაბთაი ცური თხოულობდა,რომ ქუჩას,რომელზეც იგი ცხოვრობს (ხელ ჰა იამ—საზღვაო ჯარების ქუჩა შიმონის დასახლებაში) დარქმეოდა მისი სახელი.

მიმდინარე კვირას უნდა გაიმართოს ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრები კენჭს უყრიან ამ საკითხს — გადაწყვეტენ დაუჭირონ, თუ არა მხარი შაბთაი ცურის წინადადებას. გადაწყვეტილება თავისი შინაარსით გამონაკლისის ხასიათს ატარებს, რადგან ქუჩებზე სახელის მინიჭების კრიტერიუმების მიხედვით, დადგენილია: არ შეიძლება ქუჩას პიროვნების სახელი მიენიჭოს მანამ სანამ მისი გარდაცვალებიდან 24 თვე არ გავა. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევაში ქალაქის საბჭოს უფლება აქვს ეს გააკეთოს. ამიტომ ახლა გასარკვევია ერთი საკითხი, თუ რა დაიწერება ქუჩის ფირნიშზე „შაბთაი ცურის ქუჩა,“ თუ ამ ადამიანის ნამდვილი სახელი და გვარი „შოთა ციაშვილის ქუჩა“.

ცური ქ. აშკელონის მერი იყო სამი თვის განმავლობაში. იგი ისრაელსა და მსოფლიოში ასრულებდა რამდენიმე ოფიციალურ თანამდებობას, მათ შორის, საქართველოში ისრაელის ელჩისას. იყო ისრაელის მთავრობის მეთაურის მრჩეველი საქართველოსა და კავკასიის საკითხებში. დღეს იგი არის „ლიკუდის“ აშკელონის ფილიალის თავმჯდომარე, დაახლოებული იყო მთავრობის ყოფილ აწგანსვენებულ მეთაურთან არიელ შარონთან.

გაზეთი „ჰაარეცი“,
2014 წლის 11 მარტი

კრიტიკის გამო: აშკელონი ქუჩას მერის მოქმედი მოადგილის სახელს აღარ დაარქმევს

ქალაქის მერი, რომელმაც გადაწყვიტა უარი თქვას ამ პროცესზე:

„ყური მივუგდოთ, თუ რა ხდება საზოგადოებაში“

ქალაქის საბჭოს წევრი:
„ქუჩებზე სახელის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებამ უფრო დიდი ზიანი მოგვიტანა, ვიდრე ის სარგებლობა, რომელიც ამ პიროვნებამ მისცა ქალაქს“

აშკელონის მერმა ითამარ შიმონმა დღეს (სამშაბათს) გადაწყვიტა შეცვალოს ქუჩებზე სახელის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილება ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის მისი მოქმედი მოადგილის — შაბთაი ცურის სახელის მინიჭების თაობაზე.

ასეთი გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმ საზოგადოებრივი კრიტიკის გამო, რომელიც მოჰყვა სახელის მინიჭების განზრახვას.

გუშინ „ჰაარეცში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ქუჩებისათვის სახელთა მიმნიჭებელმა კომისიამ დააკმაყოფილა თხოვნა, რომელიც თვით შ. ცურმა წარადგინა. მოსალოდნელი იყო, რომ მომდევნო დღეს ქალაქის საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი გავიდოდა, თუმცა, ქალაქის მერმა გადაწყვიტა გაეუქმებინა ეს პროცესი. შიმონმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: **მთელი გულით მჯერა, რომ ლიდერმა ყური უნდა მიუგდოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. როცა საზოგადოება უხერხულობას გრძნობს ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო, ისინი, ეს გადაწყვეტილებები, უნდა გადავამოწმოთ. ამიტომ ქალაქის საბჭოს ხვალინდელ სხდომაზე არ გავიტანთ საკითხს ქუჩებისათვის ახალ სახელთა მინიჭებისა და არსებულ სახელთა შეცვლის შესახებ.**

დღეს ქალაქის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა თქვა: „ეს გადაწყვეტილება იყო ძალიან გაუგებარი, რომელმაც ქალაქ აშკელონს მხოლოდ სირცხვილი მოუტანა. ან უფრო მეტი ზიანი მოგვცა, ვიდრე ამ პიროვნების ქალაქისათვის მოტანილი სარგებელია“.

ცური სამი თვე იყო ქალაქის მერი. მას ისრაელსა და მსოფლიოში რამდენიმე ოფიციალური პოსტი ეჭირა, მათ შორის იყო ისრაელის ელჩი საქართველოში და ისრაელის მთავრობის მეთაურის მრჩეველი საქართველოსა და კავკასიის საკითხებში. დღეს იგი არის „ლიკუდის“ აშკელონის ფილიალის თავმჯდომარე. დაახლოებული გახლდათ მთავრობის აწგანსვენებულ მეთაურთან არიელ შარონთან.

ლაპარაკია გადაწყვეტილებაზე გამონაკლისის სახით, მაშინ როცა ქუჩებისათვის სახელთა მინიჭების კრიტერიუმებით დადგენილია, რომ არ შეიძლება ქუჩას მიენიჭოს ამა თუ იმ პიროვნების სახელი,ვიდრე მისი გარდაცვალებიდან არ გავა 24 თვე, თუმცაღა, განსაკუთრებულ შემთხვევაში ქალაქის საბჭოს ეძლევა საამისო უფლება.

ბრავო, მესი!

ხვალ მთავრდება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი — უკან დარჩა აგუგუნებული სტადიონების ხმაური, გახარებული თუ გულდაწყვეტილი მაყურებლის მზერა, მაგრამ ერთი ფეხბურთელის საქციელი ისტორიას შეეორჩა.

მსოფლიოში ცნობილმა ფეხბურთელმა მესიმ აი, ასე გამოხატა თავისი სოლიდარობა ისრაელის სახელმწიფოსადმი, რომელიც შეძრწუნებული გახლდათ 12 ივნისს პალესტინელ ტერორისტთა მიერ სამი ებრაელი მოზარდის გატაცების გამო. იგი აი, ასეთი ფორმით გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ მატჩზე. მესის ამ საქციელმა მსოფლიოს დაანახა: იგი არა მხოლოდ დიდი ფეხბურთელი, დიდი ჰუმანისტიცაა.

„კოლანის“ ახალი სიცოცხლე

მომღერალ ავთანდილ ქოსაშვილის სახელი ჩვენი მკითხველისათვის უცხო არ გახლავთ. ეს ჩინებული მომღერალი მრავალი წელია თავისი დიდებული ხმით ატკბობს მსმენელს. ამას წინათ ბ-ნი ავთანდილი გაზეთ „მენორას“ რედაქციას ესტუმრა.

— ბატონო ავთანდილ, კარგად გიცნობენ, მაგრამ გთხოვთ მკითხველს მაინც შევახსენოთ თქვენს შესახებ.

— დავიბადე ონში. ბავშვობიდან ვმღეროდი ონის კულტურის სახლში, ლოტბარ შალვა ჯაფარიძესთან. რამდენიმე წელი სოლისტიც ვიყავი. დავამთავრე მუსიკალური სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო და ვოკალური ფაკულტეტები. იმ პერიოდში მამია ხატელიშვილი ანსამბლისთვის ტენორს ეძებდა, ასე აღმოვჩნდი მის ანსამბლში 1968 წლიდან.

— მერე ისრაელში გაემგზავრეთ...

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბედმა ასე გვარგუნა. 1978 წელს გავემგზავრე ისრაელში. ჩემი დიდი სურვილი იყო ჩამომეყალიბებინა ქართული ანსამბლი, კვარტეტი ან ოქტეტი. რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად, რამდენ ადამიანსაც ავიყვანდი. ვეძებდი ახალ ამოსულებს, „ოლე ხადაშებს“ ასე უწოდებენ მათ ისრაელში. ყოველდღე დავდიოდი აეროპორტში, რომ მენახა ხომ არ ჩამოსულა ვინმე კონსერვატორიადამთავრებული მომღერალი ან მუსიკოსი. აი, ასე ვეძებდი მომღერლებს. და მოვნახე ერთი, მეორე. ამას დასჭირდა 3-4 თვე, სანამ კვარტეტს შევკრებდი.

— ანუ კვარტეტის მომღერლები ძირითადად საქართველოდან ახალამოსულებიდან აიყვანეთ?

— რა თქმა უნდა. კონკურსიც კი გამოვაცხადე, მაგრამ მოვიდნენ საესტრადო მომღერლები. მე კი ჩანაფიქრი მქონდა, რომ მაღალი დონის პროფესიონალი მომღერლები ყოფილიყვნენ. ეს ხალხი მოვძებნე და ჩამოვაყალიბე ანსამბლი. სამი წელი დასჭირდა პროგრამის შედგენას. პროდიუსერებს ვაჩვენეთ ჩვენი პროგრამა და აღფრთოვანებულნი დარჩნენ, ეს რა კარგი ხელოვნება გქონიათ ქართველ ხალხსო. ეს რა ყოფილხართ ქართველები, ეს რა მდიდარი კულტურა გქონიათ. ბევრი არ ვიცით საქართველოზე, მაგრამ თქვენი სიმღერა მეტყველებს ქართველი ხალხის კულტურაზეო. ახალამოსულებმა ებრაული ენა არ ვიცოდით და ტელევიზიით პირველი გამოსვლისას მხოლოდ ქართული პროგრამა შევასრულეთ. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ტრადიციულად ქართული ჩოხები გვეცვა, თავზე კი, სვანური ქუდები გვეხურა. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენი გამოსვლის შემდეგ ბუმი იყო — უამრავი მოწვევა, სატელეფონო ზარები, წერილები. ჩვენი არსებობის განმავლობაში რვაჯერ შემოვიარეთ კონცერტებით ამერიკის თითქმის ყველა შტატი.

— მერე რა მოხდა? გქონდათ აღმავლობის პერიოდი და უცბად...

— მოხდა ის, რომ გამოგვეცალა ერთი მომღერალი. ხმის ძიებაში ანსამბლი დაიშალა. ვერ მოვძებნეთ მომღერალი. მე კი საქართველოში წამოვედი, რაღაც ბიზნესი გამოჩნდა და 5 წელი აქ დავყავი. იმ ბიზნესმაც არ გაამართლა და დავბრუნდი ისრაელში. დავიწყე ახალი ძალებით ანსამბლის აღდგენა.

— რამ მოგცათ სტიმული. თქვენი ანსამბლი ალბათ, უკვე მივიწყებული იყო?

— არა. ჩვენს მიმართ ინტერესი არ განელებულა. გვკითხულობდნენ ისრაელის სხვადასხვა კუთხეში — სად ხართ, რატომ არ მღერით? ამანაც ძალიან დიდი სტიმული მოგვცა. ინტერვალი უმოქმედობისა იყო ოთხი წელი. ამჯერად კონკურსი არ გამოგვიცხადებია. ჩემმა პიანისტმა შემომთავაზა მივიდეთ ოპერის თეატრში და მომღერლები ავიყვანოთო. ბოლოს და ბოლოს მივედით, - ეს იყო 7-8 თვის წინ. ოპერაში მომღერლებმა გამოთქვეს სურვილი და ასე დავიწყეთ განახლებული შემოქმედებითი სიცოცხლე.

— როგორია თქვენი ანსამბლის შემადგენლობა და რა ჟანრის რეპერტუარი გაქვთ?

— ჩვენი ანსამბლის სახელწოდებაა „კოლანი“ (წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „კამერტონ“ — გახმოვანება). ვართ შემდეგი შემადგენლობით: **ავთანდილ ქოსაშვილი** (1 ტენორი) ანსამბლის დამაარსებელი, თქვენი მონა-მორჩილი, **სიმონ (თენგიზ) კრიხელი** (2 ტენორი), **იოსებ აჯიაშვილი** (ბარიტონი), **ვახტანგ ნათანელი** (ბანი, კომპოზიტორი), **რუბენ ჩაჩაშვილი** (პიანისტი).

რეპერტუარში გვაქვს ქართული ხალხური, ქალაქური, ცნობილი ებრაული სიმღერები, ძველი იდიშის ენაზე რამდენიმე პოპულარული სიმღერა, იტალიური კლასიკური, ნეოპოლიტანური, რუსული პოპულარული სიმღერები.

— დღეს რა მისიით იმყოფებით საქართველოში?

— დღევანდელი ჩვენი მისიაა ქართულ-ებრაული კვარტეტ „კოლანის“ აღდგენა ვამცნოთ ქართულ დიასპორას საქართველოში. საქართველოს სიყვარულით არ ვწყვეტთ ურთიერთობას ქართველ ერთან. ოქტომბრის თვეში საქართველოში დაგეგმილია დიდი ქართულ-ებრაული ღონისძიება, რომელშიც „კოლანი“ მიიღებს მონაწილეობას.

— გმადლობთ.

ესაუბრა მარინე ვასაძე

„კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას“

ერთი წელი გასრულდა მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში გარდაიცვალა ჩინებული ხელოვანი, ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის მომხატველ-დამამშვენებელი, დიდებული ვიტრაჟების შემქმნელი სოსო ჯინჯიხაშვილი.



კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

სოსო ჯინჯიხაშვილი

ხელოვანის ხსოვნის აღსანიშნავად, მისი მეგობრების ინიციატივით გამოვიდა წიგნი „კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას“. წიგნის შემდგენელი და რედაქტორია ოთარ სეფიაშვილი, დიზაინი, კომპიუტერული უზრუნველყოფა ისაკ (ირაკლი) კრიხელისა. მხარდამჭერები: ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემის მთავარი რაბი აბრამ აშვილი, სალოცავის პრეზიდენტი იოსებ პატარკაციშვილი, შემოქმედებითი გაერთიანება „თარბუთის“ პრეზიდენტი ილია იოსებაშვილი, ქალთა კომიტეტი მადლენა იაგუდაევი და ლამარა ელიშაკოვი, ფოტომასალა – სიმონ კრიხელისა.

წიგნი გამოსცეს ქართველ ებრაელთა სალოცავმა და შემოქმედებითმა გაერთიანება „თარბუთმა“.

წიგნში მოთავსებულია ოთარ სეფიაშვილის ვრცელი ნარკვევი, რომელშიც განხილულია სოსო ჯინჯიხაშვილის შემოქმედება, წარმოჩენილია ამ ღირსეული ხელოვანის პიროვნება, როგორც გატაცებით მოღვაწე, უხმაურო ხელოვანი, თავის საქმეს დიდი ნიჭითა და ერთგულებით რომ მსახურებდა.

წიგნში მოთავსებულია მიხეილ როკეტლიშვილის, ნოდარ ფალაგის (პარლაგაშვილის), სიმონ დავარაშვილის, ცისანა ჯანაშვილის, ჯ. ჯიშკარიანის, ისაკ კრიხელის, მერაბ ხუხაშვილის, გურამ პაატაშვილის წერილები.

შეუძლებელია არ დაეთანხმოთ წიგნის ერთ-ერთ ავტორს ნოდარ პარლაგაშვილს: „მან (სოსო ჯინჯიხაშვილმა. რედ.) პირნათლად შეასრულა თავისი მისია — საკუთარი ხელით აიგო ძეგლი და სამარადისოდ რჩება ქვინსის სინაგოგაში, როგორც მლოცველი მლოცველთა შორის“.

„ისრაელის ვიზიონერული მუსიკა“

იერუსალიმში, კინგ ჯორჯის ქუჩაზე „ბეით ავიხაის დარბაზში სისტემატურად ეწყობა საინტერესო საღამო-შეხვედრები ცნობილ პიროვნებებთან, იქნებიან ისინი მეცნიერები თუ შემოქმედნი. 25 ივნისს „ბეით ავიხაიმ“ ისრაელის ორი ცნობილი კომპოზიტორის— ბეტი ოლივერისა და იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებაზე სასაუბროდ მიიწვია მაყურებელი. საღამო მიჰყავდა მატი კოვლერს (ისრაელი-აშშ)

საღამოზე შესრულდა იოსებ ბარდანაშვილის „ფანტაზია“, მეტამორფოზა“ და „დაღლილობა“განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ბეთი ზაკენის მიერ შესრულებულ „სულის ყივილს“. ეს ჩინებული მუსიკალური ნაწარმოები თბილისელ მაყურებელს იმავე მომღერლის შესრულებით უკვე მოსმენილი აქვს.

მატი კოვლერმა ისაუბრა ბარდანაშვილის საკომპოზიციო შემოქმედების მთავარ მიმართულებაზე, ხაზი გაუსვა მისი მუსიკის უაღრეს თანადროულობას და სასაუბროდ თავად კომპოზიტორს უხმო. ი. ბარდანაშვილმა კი დიდი პროფესიული სიღრმე გამოავლინა. იგი მაყურებელს უამბობდა თავისი შემოქმედების მთავარ მახასიათებელზე, რაც ეროვნულ ტრადიციებში იღებს სათავეს. ამ ეროვნულს კი კომპოზიტორი ქართული და ებრაული მუსიკალური კულტურის სინთეზში დაეძებს, ზოგჯერ თავად ქმნის ამ ორი მუსიკალური კულტურის სინთეზს.

„მშვენიერი იაფო“

„და საერთოდ, რა არის ებრაელობა?

ღვთის სასჯელი, თუ საჩუქარი?

ებრაელობა, უწინარესად, უზენაესის რწმენაა რელიგიურ-კანონიკური დოგმებით განმტკიცებული. სულიერების უმძიმესი და ამასთან უმსუბუქესი მწვერვალი — ზენაარიდან ნაკარნახევი ადამიანური ყოფის გამოცდილების სიბრძნის, ეთიკისა და მორალის გაუხუნარი ქარტიაა.“

მიიჩნევს წიგნის ავტორი ნუგზარ ჯანაშვილი.

ეს კარგი დიზაინის მოთხრობების, ესეების, ნარკვევების კრებული ამასწინათ გამოიცა თელავივში. წიგნის ტექნიკური რედაქტორია ნათელა გორელაშვილი, დიზაინერი თამთაჯანაშვილი.



წიგნს წინ უძღვის ავტორისეული წინათქმა, რომელშიც ნ. ჯანაშვილის აღნიშნავს: „ეს მოთხრობები და ესეები სიკეთის გამარჯვების სურვილით იწერებოდა.

და შენც მკითხველო, სუფთა გული და ალალი თვალი მიადევნე ავტორის ამ წრფელ განზრახვას“.

ნუგზარ ჯანაშვილი გახლავთ შვილი ცნობილია პოეტის ფირუზ ჯანაშვილისა. იგი გორში ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა და ისრაელშიც ამ გზას ადგას — მისი ნარქვევები იბეჭდება ისრაელის ქართულენოვან პრესაში.

ებრაული მედიის სამიტი მიმავალმა პრეზიდენტმა შიმონ პერესმა გახსნა და ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა დახურა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნებში გამომავალ ებრაულ გაზეთებს

ამათ შორის იყო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს, მინისტრების გამოსვლები. ყოველი ამათგანი საუბრობდა იმ გამოწვევებზე, რომლებიც თან სდევს ისრაელის სახელმწიფოს და დღეს, თითქოსდა, მშვიდობიან დღეებში, განსაკუთრებით იჩენს თავს.

მახსოვს, 2000 წელს ჩატარებული ებრაული მედიის სამიტი. სამიტზე მაშინაც საქართველოში გამომავალი ებრაული გაზეთები „მენორა“ და „შალომი“ იყვნენ წარმოდგენილნი. მედია ქვეყნის, საზოგადოების მდგომარეობის ცხოვრების ანარეკლია. ამიტომ ისმის კითხვა: რა პირობებში გაიმართა, როგორი იყო 2000 წლის სამიტის დღეებში ისრაელი და როგორია დღევანდელი—2014 წლის ისრაელი?

ისრაელი მაშინაც აღტაცებას იწვევდა — ეს იყო ახალი, ჩვენი ცხოვრების წესისგან სრულიად განსხვავებული რეალობის აღმოჩენის და შეცნობის ერთობ ხანგრძლივი პროცესი, შეიძლება ითქვას, სიხარულიც კი იმის გამო, რომ ჩვენი ისტორიული სამშობლო ასეთი მომხიბლავი და განვითარებულია. საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების, მძიმე ცხოვრებისეული პირობების ფონზე კიდევ უფრო მეტად წარმოჩნდებოდა ისრაელის ღირსებები, პროგრესულობა. ისრაელში არსებულ დაპირისპირებას კი მეორე რიგის ამბად მივიჩნევდით. გვაფრთხობდა, მაგრამ როგორც ჩანს, არც ისე სერიოზულად ვაფასებდით ისრაელში არსებულ კონფლიქტს.

მაგრამ მას შემდეგ არა მხოლოდ საქართველოში, მთელ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა: ცხოვრების დონე ზოგან გაუარესდა, ზოგან კი – გაუმჯობესდა. საქართველოში პროგრესი ძალიან იოლი დასანახია. რასაკვირველია, ცვლილებები ისრაელშიც მიმდინარეობდა—მე იშვიათად მინახავს ისეთი დინამიური ქვეყანა, როგორიც ისრაელია. ამის გამოისობით დღეს, 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში, ისრაელი არა მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, მოწინავე ქვეყანაა (რამდენად უსიამოც არ უნდა იყოს ამაზე საუბარი, ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი ციხეში ზის, ხოლო ყოფილ პრემიერს უკვე სასჯელი შეუფარდეს და ხვალ-ზეგ დაიწყებს სასჯელის მოხდას. ასეთ ქვეყანას დემოკრატიის დეფიციტს ვერ დასწამებ, აქ დემოკრატია, სამართლიანობა გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში, ისრაელს სხვადასხვა, ხელოვნურად შექმნილი საბაბით რომ უკიჟინებენ), არამედ უაღრესად განვითარებული ინფრასტრუქტურის. 80-90-იან წლებში ჩვენ იქნებ, უფრო ემოციურად და აქედან გამომდინარე, ზედაპირულად ვაფასებდით ისრაელის მიღწევებს, გვახარებდა, თვალს გვჭრიდა ულამაზესი ხედები, დღეს როცა აღმოჩენის, პირველი ურთიერთობის სიხარულმა ჩაიარა და ცხოვრების ბევრ სფეროში ჩავიხედეთ, დინჯი, ანალიტიკური თვალით შევცქერით და ვაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ამ შეფასების შედეგი აშკარაა: ებრაული მედიის წინა სამიტიდან ამჟამინდელ სამიტამდე ქვეყანამ პროგრესის დიდი გზა გაიარა.

დავწერე ფრაზა: „ქვეყანამ პროგრესის დიდი გზა გაიარა“ და ირონიულად მომღიმარი ეშმა ამებლანდა თვალწინ. ეშმა ხითხითებს: „შეიძლება კი პროგრესი იყოს იმ ქვეყანაში, რომელშიც კვირა არ გაივლის, ქალაქებს რაკეტები არ დაუშინონ, ადამიანები არ დახოცონ, ახალგაზრდები არ გაიტაცონ. ყოველივე ამის გამო საზოგადოებაში გაუნელებელი ნერვიული ატმოსფერო უნდა სუფევდეს“ ეშმა ხითხითებს, ფიქრი კი ფიქრს მისდევს. ისრაელი ფენომენალური ქვეყანაა – მტერი ათჯერ-ოცჯერ მეტი ჰყავს, ვიდრე თავად არის,აფეთქებები, გატაცებები, ჩვეულებრივი პოლიტიკური დაპირისპირება ქრონიკული ყოველდღიურობაა. არაფერი სენსაციური, მაგრამ ქვეყნის შენების, შრომის სუფევის რიტმს მაინც ვერაფერი არღვევს. კი, ქვეყანა იბრძვის იმისთვის, რომ დაიბრუნოს გატაცებული მოზარდები, ღამის ყოველდღე აღმოაჩენს ახალ-ახალ გვირაბებს, რომლითაც ტერორისტებს იარაღი შეაქვთ, ყოველ საათში იგერიებს რაკეტებს, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს არა-რა ზეგავლენას არ ახდენს ცხოვრების რიტმზე – ახალგაზრდები სწავლობენ და ერთობიან, ადამიანები 3-4 დღით დასასვენებლად უცხოეთში მიდიან, პარასკევ-შაბათს პლიაჟები და ბეითქნესეთები სავსეა დამსვენებლებით და მლოცველებით. როგორც იტყვიან, ნემსი არსად ჩავარდება, მეცნიერები ახალ აღმოჩენებს აკეთებენ და საკაცობრიო ნააზრევის საგანძურში თავისი დიდი წვლილი შეაქვთ. ასე რომ ქვეყანა, ინტენსიურად მიიწევს წინ.

* * *

სამიტის ორგანიზატორებმა: ისრაელის მთავრობის მეთაურის პრესსამსახურმა, „სოხნუთმა“, საგარეო საქმეთა და ტურიზმის სამინისტროებმა და სხვებმა (სამიტი რვა სახელმწიფო ორგანიზაციის ეგიდით გაიმართა) ჩინებული პროგრამა შეიმუშავეს: შეხვედრები, დისკუსიები, ლექციები. მნიშვნელოვნად მივიჩნიე 24 ივნისის პროგრამა. მსოფლიოს ებრაული მედიის წარმომადგენლებს საშუალება ეძლეოდათ გასცნობოდნენ ისრაელის სამხედრო მრეწველობის მიღწევებს, სხვადასხვა თემების ცხოვრებას, მეცნიერების მონაპოვარს და გუშციონს. მე პირადად გუშციონი ავირჩიე. გუშციონი იუდეასა და შომრონს (სამარიას) მოიცავს. ეს არის ქვეყნის ის ნაწილი, რომელსაც პირობითად „ტერიტორიებს“ ეძახიან. ამიტომ, დაჯავშნულ ავტობუსში ჩაგვსხეს, წინ სამხედრო კონტიგენტი მიგვიძღვის, უკანაც ისინი მოგვდევენ. ხიფათი დიდია, მაგრამ სინამდვილის თუნდაც თვალის ერთი გადავლების — უფრო ძლიერი.

და მივდივართ.

გუშციონის გულში, ავტობუსის სწორედ იმ გაჩერებასთან ვიმყოფებით, რომლიდანაც ამ 12 დღის წინ სამი ებრაელი მოზარდი გაიტაცეს. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზეევ ელკინი დინჯად, აუჩქარებლად გვიამბობს 12 ივნისს პალესტინელი ტერორისტების მიერ განხორციელებულ სპექტაკლზე: ღამის ათი საათია, აქვე ახლოს მდებარე იეშიბიდან (რელიგიური სასწავლებელი) სამი მოზარდი: ეიალ ეფრახი (19 წლის), გილად შაერი (16 წლის) და ნაფტალი ფრენკელი (16 წლის) გამოვიდნენ. ავტობუსს ელოდებიან. იქვე ახლოს სამი თუ ოთხი „დათიმი“ (ღრმად მორწმუნე ებრაელი) ერთმანეთში კინკლაობს, კინკლაობა ჩხუბში გადაიზრდება. მოზარდები მიშველებას ცდილობენ და უცებ „დათიმი“ ებრაელები პალესტინელი ტერორისტები აღმოჩნდებიან. მოზარდები დაატყვევეს.. მათი კვალი მალე იკარგება. გააუჩინარეს.

ზეევ ელკინი და მისი მუდამ მოძრავი, კეთილი ღიმილის მეუღლე — მარია, აქვე, გუშციონში — მტრულ გარემოცვაში ცხოვრობენ. ეს ახალმოსახლეთა მამაცური ჟესტია — ამით მტერს ეუბნებიან, რომ არარა შიში არ აქვთ — თავიანთ მიწაზე უდგათ ფეხი. ზეევ ელკინი თხრობას განაგრძობს. მე კი ვფიქრობ: იგი 19 წლის ყმაწვილი იყო უკრაინის ქალაქ ხარკოვიდან ისრაელს რომ მოაშურა. დღეს 43 წლისაა, 24 წელია ისრაელში ცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ გახდა ქნესეთის წევრი, ჰყავს ოთხი შვილი. ესეც ისრაელისათვის დამახასიათებელი რეალობაა—გუშინ რეპატრიანტი, კაცი, რომელიც გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ისრაელის სანახებს, ქუჩებშიც კი ძლივს იკვლევდა გზას, დღეს ამ სახელმწიფოს ერთ-ერთი გამგებელთაგანია.

მე კარგად მახსოვს მათი ჩამოსვლის, ისრაელში ყოფნის პირველი თვეები — საბჭოთა კავშირ — დსთ-დან ჩასულნი ჩემი მეგობრის — რეჟისორ დათო ცისკარიშვილის ირგვლივ იყრიდნენ თავს — ჯერ „სიონისტური ფორუმის“ კაფეში, აგერ იაფოს ქუჩასთან, შემდეგ კი იმ რესტორანში, რომელიც დათომ გახსნა და „პინგვინი“ დაარქვა. ისრაელის მთავრობის მომავალი მინისტრები, პარლამენტის წევრები აქ იკრიბებოდნენ, ბჭობდნენ, ქმნიდნენ ორგანიზაციებს. იმთავითვე იგრძნობოდა დიდი ენთუზიაზმი, განათლება, ქვეყნის შენების, გარდაქმნის დაუოკებელი სურვილი. ამიტომ იქვე ჩამომიყალიბდა მოსაზრება: რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია ნიჭი, შრომის კულტურა, იღბალი, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება — რა სულიერი საგანძურით ჩადიხარ ამ ქვეყანაში, რა სულისკვეთებით მიაშურებ მას — მისგან ელოდები, თუ მასთან მიგაქვს. ხშირად არ შემხვედრია ისეთი ებრაული მზერის ადამიანები, როგორიც ზეევ ელკინი და მისი მეუღლე მარიაა. მათი სულიერება მათს მზერაში იკითხება. აშკარაა, რომ ებრაულ ფასეულობებზე გახლავან აღზრდილნი: მხოლოდ იმის გამო კი არ არიან ისრაელის სახელმწიფოში, რომ ებრაელებად მოევლინენ ქვეყანას, ისინი „ნეფეშ იუდის“ ჭეშმარიტი მატარებლები არიან და ისრაელს მსახურებენ.

თბილისში ჩემს მაგიდასთან ვზივარ, ამ შენიშვნებს ვწერ და კვლავ მათი მზერა მიდგას თვალწინ.

* * *

იმაზე უკეთ, ვიდრე ჩერჩილმა დაახასიათა, დემოკრატიას, ალბათ, ვერავინ განმარტავს. ამ სიგარიანი ბრძენკაცის მოსაზრებას დემოკრატიის ზუსტ შეფასებად მივიჩნევ. თანამედროვე ქართველი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის თეზასაც — ჯერ დემოკრატია, მერე პატრიოტიზმი, რომ ღაღადებს, ვიზიარებ. მით უმეტეს, რომ პატრიოტიზმს—ამ წმინდათაწმინდა გრძნობას ზოგჯერ ვიგინდარები აფარებენ თავს. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა მათ სხვებისთვის ტალახის სროლა არ უჭირთ. ერთმა ენამოუღელმა, უპაუზოდ მოლაპარაკე არსებამ მეც მესროლა: ბათიაშვილი საქართველოს მოღალატეაო. ჩემთან — „საქართველოს მოღალატესთან“ ბრძოლით ორდენებიც კი ჩამოიკიდა: ნახეთ, ჩვენ ქართველი ხალხის რა ერთგული ვართ, მის მოღალატეს დაუნდობლად ვამხელთო. ამიტომ ზოგიერთთაგან სამშობლოს სიყვარულზე, პატრიოტიზმზე ყვირილი მაფრთხობს—სპეკულიაციის სუნი ასდის ამ ყვირილს.

მაგრამ მაინც... მიუხედავად ამ მწარე გამოცდილებისა, ზოგჯერ დგება მომენტი, როცა მერაბ მამარ-



დაშვილის თეზას იჭვის თვალით შევცქერი. ეს თეზა ყოველთვის, სამშობლოს ცხოვრების ყოველ ეტაპზეა მისაღები? ყოველთვის „მუშაობს“? სამშობლოს ყოფნა-არყოფნის ჟამს, როცა მტერი ყოველდღე, ყოველ წუთს შენი სისხლის ნთხევას ესწრაფვის, რა არის მთავარი: დემოკრატია თუ პატრიოტიზმი? მე ვფიქრობ, მ. მამარდაშვილის თეზა მისაღებია ბედგანმტკიცებული, მშვიდობიანი ყოფის ქვეყნისათვის და სრულიადაც არ არის მისადაგებული ისეთ ქვეყანაზე, რომელსაც ყოველ ცისმარე დღეს უხდება გადარჩენისათვის ბრძოლა, შვილების, დედების, დებისათვის ნასროლი ყუმბარების მოგერიება.

კონკრეტულად: იერუსალიმის პრეს-ფორუმი აწყობს ისრაელელ და პალესტინელ ჟურნალისტთა დისპუტს. მაგიდას ექვსი ჟურნალისტი მიუჯდა — სამი ისრაელელი და სამი პალესტინელი. ისრაელელი ჟურნალისტები საუბრობენ თავიანთ უფლებაზე იცხოვრონ ისტორიულ სამშობლოში — ეს მათი წინაპრების მიწაა, მათი მამა-პაპის. პალესტინელები კი მიიჩნევენ, რომ მათი კუთვნილი მიწა ებრაელებმა მიიტაცეს. ებრაელობა არა ერი, სარწმუნოებაა, რელიგია (შეუძლებელია ამან არ გაგვახსენოს ი. სტალინის შრომები ერისა და ენის რაობაზე) არისო.

კამათი ცხარდება. მონდიალის დღეებში არა-რა უცნაურობა არ არის იმაში, თუ სპორტულ ტერმინოლოგიას მივმართავ: სამით სამია. თითქოს ასეა, მაგრამ კამათის პროცესში სიტუაცია იცვლება: ერთი ებრაული წარმოშობის ჟურნალისტი—რწმენით მემარცხენე, ისე კამათობს, საკითხს ისე განიხილავს, ისეთ პოლიტიკურ პლატფორმას ავლენს, რომ სიმწვავით პალესტინელ ჟურნალისტებს აჭარბებს. ამიტომ სულ რაღაც ოციოდე წუთში ძალთა თანაფარდობა სამით სამი კი არა, ოთხით ორია.

ორი ისრაელელი ჟურნალისტი სამი პალესტინელისა და პლუს ერთი ისრაელელი მემარცხენე ჟურნალისტის წინააღმდეგ. მას ემატება ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ჟურნალისტების შეკითხვები, რაც ადასტურებს, რომ მემარცხენენი იქაც არიან. მათი შეკითხვები, კომენტარები პალესტინელთა პლატფორმაზე ასხამს წყალს. იმ ისრაელელ მემარცხენე ჟურნალისტს შევცქერი, ყურადღებით ვაკვირდები მის ჟესტიკულაციას — არა, იგი სამშობლოს მოღალატედ არ მიმაჩნია, მას ჰგონია, რომ სამშობლოს სწორად ემსახურება, რომ სწორედ ასეთი პოზიცია გადაარჩენს მის სამშობლოს. კი ბატონო, მაგრამ ნუთუ, ვერ ხედავს,თავისი პოზიციით დაუძინებელ მტერს რომ აძლიერებს? მტრად არ მიაჩნია?ესეც შეიძლება მივიღოთ, გავიზიაროთ, მაგრამ „ხამასს“ რომ მიაჩნია მტრად, ყოველი ებრაელის მოსპობა-განადგურებას რომ ესწრაფვის?

ისრაელის საზოგადოებრივი აზრი კი თავისი გზით მიდის — დემოკრატიის გზით. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს: ამ გზით ძლიერნი დადიან. ძალიან ძლიერნი — ისრაელი დემოკრატიის უმჯობესობის გზას ადგას, რადგან სჯერა საკუთარი ძალის.

* * *

თუმცა, ვერც ქნესეთის წევრისა და მინისტრის — ნაფტალი ბენეტის იდეოლოგიას გავიზიარებ, კი, ზემოთ ხსენებულ უკიდურეს მემარცხენეობას, ასევე უკიდურესი, ნაფტალი ბენეტის მემარჯვენეობა თუ გააჯერებს. ერთი შობს მეორეს— უკიდურესი მემარცხენეობა უკიდურესი მემარჯვენეობის მამაა. ეს კარგად იგრძნო ნაფტალი ბენეტმა და საპარლამენტო არჩევნებში სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია. ახლა „დავითის ქალაქში“ ვახშმობისას იგი ლაპარაკობს ისრაელის მომავალზე, საუბრობს, თუ საით უნდა წავიდეს ისრაელი,ვიღაც ტაშს უკრავს, ვიღაც უკმაყოფილებას გამოხატავს. მე კი ვფიქრობ ბინიამინ ნეთანიაჰუზე — მან არა მხოლოდ უცხოთა შემოტევას უნდა გაუძლოს, მას უტევენ, ამტყუნებენ, არ ეთანხმებიან მარცხნიდან და მარჯვნიდან. ერთიც და მეორეც თავის იდეოლოგიას მიიჩნევს მართებულად — გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. და უნებურად იბადება კითხვა: დემოკრატიის სახელით დათმობების, თვალის მოხუჭვის პროცესში მარადიული ღირებულებები ხომ არ შემოგვადნება ხელში? დიახ, ფიქრი ფიქრს მისდევს, ზოგჯერ მღელვარებას წარმოშობს, ზოგჯერ — შიშს (როგორც გამიგია, გალუთში — დიასპორაში მცხოვრებ ებრაელებს სჩვევიათ ასეთი მღელვარება, შიში. ისრაელელები კი ამ პროცესს უფრო მშვიდად შესცქერიან) მაგრამ ქვეყანა მაინც თავისი გზით მიდის, მრავლდება, ძლიერდება.

* * *

დაჯავშნული ავტობუსი სამხედროებით სავსე მანქანას მისდევს, ახლადაშენებულ მკვდარ ქალაქში შევდივართ. სახლების შეუმინავი ფანჯრები თვალებდათხრილ დევებს ჩამოგვანან. მკვდარი პირობითად ეთქმის, იმიტომ რომ ადამიანების ხმები, ბავშვების ჟრიამული არ ისმის, ცხოვრების ავკარგი არ აცოცხლებს, თორემ ამ ჩინებულად ნაშენებ, ჯერაც დაუმთავრებელ ქალაქს მკვდარს ვერაფრით უწოდებ. პირიქით — ნავაბი მომავლის ქალაქია. მას პალესტინელებისათვის აშენებენ. უკვე ათობით ჩინებული კორპუსი აუგიათ, ხალხი — პალესტინის სხვადასხვა დასახლებებში მცხოვრები ადამიანები, უკვე ელოდებიან როდის დაიწყება ბინების გაყიდვა. ამბობენ, ამ წლის ბოლოსთვისო და ფასი 50-დან 200 ათას დოლარამდე იქნებაო.

ისრაელში დიდებული ქალაქის აშენება არავის არ უნდა გაუკვირდეს.. თუნდაც ერთი აშდოდის მაგალითი კმარა — 80-იანი წლების დასასრულს პატარა პროვინციალურ დაბაში ვიყავი, დღეს კი მის ადგილას შესანიშნავი, ფეშენებელური ქალაქია.რავაბი ყურადღებას იქცევს ბინების დაბალი ფასით, ჩინებული დაგეგმარებითა და არაბული სოლიდარობით — ყატარის ხელისუფლებისა და ბიზნესმენთა ინვესტიციებით შენდება.. ინვესტორთა შორის გახლავთ ჯორჯ სოროსი, ებრაელი კაცი. ასე თუ ისე ვიცნობ მსოფლიოს ებრაულ ცხოვრებას და არასოდეს მსმენია, რომ მას ისრაელში რაიმე პროექტი დაეფინანსებინოს. პალესტინელებისათვის ქალაქის აშენებაში კი მონაწილეობს. ამიტომ ცოტა გაღიზიანებული დავაბიჯებდი ცემენტის, გაჯის, სილის მტვრით დაბურულ მომავალ ქალაქში. რა გაეწყობა: ასეთია სამყარო, მაგრამ როგორც იტყვიან, არა უშავს რა, ისრაელი უსოროსოდაც გადის ფონს.

მოგვიანებით ამ ქალაქის მშენებლობის უფროსს — პალესტინელს ვუსმენდით. თავის ოფისში ყავასა და ხმელ ხილზე მიგვიპატიჟა. ერთობ ინტელიგენტი კაცი ჩანს — პროფესიონალი, საქმიანი. საინტერესოდ საუბრობს. მინდა ერთმანეთს დავაკავშირო „ხამასი“ და ეს კაცი, ის „დათიმი“ ტერორისტები და ეს პალესტინელი. არ გამოდის. სხვადასხვა სამყაროა, სრულიად სხვადასხვა განზომილება. ისინი კაცთა კვლისთვის მოსულან ქვეყნად, ეს — შენებისათვის. უკან დაბრუნებისას ვფიქრობდი: „იქნებ, უკეთესიც იყოს პალესტინელებისათვის რომ ასეთი ცივილური ქალაქი შენდება, იქნებ ამან მაინც მიახვედროს, რომ ადამიანი არა სისხლისღვრისათვის, არა ყუმბარების დაშენისათვის, არამედ შენების, პროგრესისათვის იბადება. თუმცაღა, მაოცებს გარემო: პალესტინელთა დიდებულ ვილებს ვხედავ, იმდენად მდიდრული დასახლებები გამოვიარეთ, ვილებს თვალს ვერ მოსწყვეტ. ე. ი. რავაბი პირველი ოაზისი არ იქნება. პალესტინელთა დიდი ნაწილი ეწევა ცივილურ ცხოვრებას. ამის დასტურია ეს დასახლებები, ვილები. ვილებთან მდიდრული მანქანები და ჟურნალისტებზე მერევა ბრაზი: როცა პალესტინაში რაიმე ხდება, ეკრანზე აჩვენებენ დანგრეულ, ტურტლიან, სიღარიბის ტყვეობაში მოქცეულ პალესტინურ დასახლებებს. ამით ევროპელ თუ სხვა კონტინენტის მაყურებელს ეუბნებიან: აი, ნახეთ, რა დღეში აგდებენ ებრაელები პალესტინელებს. პალესტინური დასახლების ეს დიდებული, შესანიშნავი ვილები კი არასოდეს მინახავს „ევრონიუსისა“ თუ „ბიბისის“ ეთერში.

* * *

აღშფოთებასაც ვერ დავუმალავ მკითხველს—ჩემს უკიდურეს აღშფოთებას.12 ივნისს ტერორისტებმა რომ ისრაელელი მოზარდები გაიტაცეს, ერთ-ერთს მოუსწრია პოლიციაში დარეკვა: „მოგვიტაცეს!“ ე.ი. გვიშველეთ, დაგვეხმარეთო. ერთ-ერთი გატაცებულის მეგობარ გოგონას კი პოლიციისათვის შეუტყობინებია: დამირეკა, მათ თავს რაღაც ხდება, მიეშველეთო. პოლიციამ ყურიც არ გაიბარტყუნა. ძალიან ძვირადღირებული დრო დაკარგა — რამდენიმე საათის მერე დაიწყეს მოქმედება. ფინალი მთელმა მსოფლიომ იცის—ფინალმა ისრაელი შეაძრწუნა.

იმ პოლიციელებს პანღური კი უთავაზეს, მაგრამ...

ეს ძალიან საგანგაშო სიგნალია. აქ საქმე გვაქვს არა დანაშაულებრივ გულგრილობასთან, როგორც მაღალჩინოსან პოლიციელთა სამსახურიდან დათხოვნის ბრძანებაში ჩაიწერა, არამედ ეროვნული ინტერესების ღალატთან.

ამ ოციოდე წლის წინათ, ერთ პურობაზე ისრაელის მაშინდელმა ელჩმა საქართველოში ბარუხ ბენ ნერია ბირენბაუმმა ისრაელზე საუბრისას ერთი დასამახსოვრებელი ფრაზა თქვა: „ჩვენ, მთელი სახელმწიფო, საზღვრის პირა სოფელში მცხოვრები ქვეყანა ვართ“. საზღვრისპირა სოფელი განსაკუთრებული რეჟიმით ცხოვრობს — ყოველ წუთს, ყოველ წამს შეიძლება მტერი სახლში შემოგივარდეს.

თუ ისრაელში ეს სულისკვეთება გაქრა...

P.S. ამ ჩანაწერების მკითხველს, უფრო ზუსტად კი იმათ, ვინც ქართველ ებრაელთა ისტორიის საკითხებზე მუშაობს, მინდა ერთი ინფორმაცია მივაწოდო, ვინძლო, გამოადგეთ: ლათინური ამერიკის ქვეყნებში რომ ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ, ადრეც ვიცოდი —რუსთაველის თეატრის ამ რეგიონში გასტროლების შემდეგ მსახიობები მათთან შეხვედრებზე მიამბობდნენ.სამიტის დღეებში „დავითის ქალაქის“ ბილიკებზე რომ დავდიოდით, ერთი არგენტინელი ჟურნალისტი გამომელაპარაკა — მათიას-დანიელ მონშაილი, მერე ჩანთიდან წიგნი ამოიღო: „ეს წიგნი, ქართველ ებრაელზე დავწერე.“ დავინტერესდი. თურმე არგენტინაში ცხოვრობდა ხაიმ-იოსებ შალელოვი (შალელაშვილი), რომელიც ამ ქვეყანაში ერთობ სახელმოხვეჭილი კაცი ყოფილა. ხაიმ-იოსებ შალელაშვილი (1923-2009) იყო ძე ასევე ცნობილი ქართველი ებრაელის — „თორის კაცის“ აბრამ შალელაშვილისა. დედა კი — ხანა ლევიაშვილი. ხაიმ-იოსების ბიძა გვარად — ლელუჩაშვილი კი ურუგვაიში დღესაც ცხოვრობსო.

მათიასმა წიგნი ვერ მაჩუქა, ეს ერთადერთი ეგზემპლიარი შემომრჩაო.

გურამ გათიაშვილი
ივნისი, იერუსალიმი-თბილისი

წარსულის სურათები

დოკუმენტური მოთხრობა

არონ კრიხელი

რედაქტორისგან: გამიჭირდება დავასახელო მეორე ასეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები, როგორიც არონ კრიხელის წინამდებარე დოკუმენტური რომანია — მან შეჰქმნა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის თბილისის ებრაელობის მართალი სურათები. საქმე არ გვაქვს მწერლის ცხოვრების გამონაგონთან — მისი ფანტაზიით შექმნილ რეალობასთან. არონ კრიხელმა დაგვიტოვა თავისი ეპოქის თბილისის ებრაელობის ყოფის ადეკვატური სურათები და რამდენადაც უამური არ უნდა იყოს ამ ყოფის გაცნობა, ერთობ მადლიერნი უნდა ვიყოთ არონ კრიხელისა — მან შეავსო ერთი დიდი ნიშა საქართველოს ებრაელობის ისტორიისა.

ჩემთვის ეს ავტორიც და მისი ნაწარმოებიც აღმოჩენა გახლავთ. ამიტომ განსაკუთრებული მადლობა მსურს ვუთხრა „დავითის ფარის“ რედაქტორს, ავტორის შვილს სიმონ კრიხელს იმისათვის , რომ ეს წიგნი „მენორას“ გადმოსცა.

სამწუხაროდ, გაზეთი ვერ შესძლებს წიგნის მთლიანად დაბეჭდვას, ჩვენ მხოლოდ ცალკეულ თავებს შევთავაზებთ მკითხველს, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მას „მენორას“ ბიბლიოთეკის სერიით ცალკე წიგნად გამოვცემთ.

თავი პირველი

სალოცავის წინ აგურით ნაშენი ორსართულიანი შენობა დგას, ძველი ქართული აივნებით და პატარა ეზოთი. ეს სახლი ნანაზიაშვილისაა. აგერ ისიც, აივანზეა, ოთხთვალაში ზის და სალოცავის ეზოს გასცქერის. ოთხთვალაში იმიტომ ზის, რომ დამბლად არის ჩავარდნილი და არც მოძრაობა შეუძლია და ენაც დაბმული აქვს. იგი სამოცი წლის იქნება, გაპარსულ სახეზე ალაგ-ალაგ წითელი ძარღვები აჩნევია, თვალის უპეები გაშეშებული აქვს და ქვედა ტუჩიდან, რომელიც ნიჩაბივით აქვს ძირს გადმოვარდნილი დორბლები ჩამოსდის. ზის ნანაზიაშვილი ოთხთვალაში და სალოცავის ეზოს გასცქერის, სადაც ჯამაათი ყარბითის ლოცვის დაწყების წინ შეგროვილა და მასლაათობს. მზის ჩამავალი სხივი ახლად ჩადგმულ ალვის ხის წვერებს ელამუნება და თანდათან სულ ზევით, სალოცავის სახურავისკენ მიიწევს. ისიც ამ სხივებს თვალს ადევნებს და როცა მზე სალოცავის ეზოდან გადადის, თვალებს ხუჭავს.

შამაში სალოცავიდან გამოდის და ჯამაათს ყარბითის ლოცვისაკენ მოუწოდებს. ხახამ იაყობი თავისი მოკაუჭებული ჯოხით ეზოში მისთვის დადგმულ სავარძლიდან დგება და სალოცავში შედის. როგორც მოხუცები, ისევე ახალგაზრდები, ფეხზე დგებიან და მოწიწებით უკან მიყვებიან. ხახამ მიხეელი, თუმცა კი ამჩნევს ხახამ იაყობს, რომელმაც მას გვერდში გაუარა, მაინც ფეხზე არ დგება და თითქოს არც შეემჩნიოს, თალმიდებთან გემარის კომენტარებზე მუსაიფს განაგრძობს.

სალოცავის ეზოსა და ნანაზიაშვილის სახლის შუაზე პატარა მოედანია. აქ, ბავშვები ზოგი ჯორობანას, ზოგიც ლახტობანას თამაშობენ. ლახტობანას მოზრდილები თამაშობენ: იჟოთ ხაიმაი, გორელიენთ ილიკოი, ნანაზიათ ილუშაი, ბახანათ სონკაი, ციციათ ხაიმაი და ბერიძეთ ხაიმაი. ჯორობანას ბავშვები თამაშობენ: ბეცოთ არონკაი და მოშკაი, ფიშტოს სოლომონაი, ქეცოთ გაბროი, თაგვების კომისარი იოსკაი, ხახამ იოსებიენთ დათიკოი და ნათან ელიაშვილის მოშკაი.

ბეცოთ ესთერა და ბახანათ მალქა აივანზე გამოდიან და თავიანთ შვილებს სახლში უძახიან. მათ ხმაზე ნანაზიათ მიმნაც გამოდის და ილუშას უძახის. თამაში იშლება. ილუშა თავის ეზოში შერბის და ორ-ორი კიბის ერთად ახტომით აივანზე ადის, თან ლოყები აწითლებია, ხუჭუჭა შავი თმების ერთი კულული შუბლზე ჩამოკიდნია და ოფლისგან მიკრობია. ნანაზიაშვილი ხმაურზე თვალებს ახელს და თავის უმცროს შვილს შეცქერის.

- ილუშ! - თრთიან მისი ტუჩები და ვერ კი გაუგონებიათ.

ილუშა მისი საყვარელი შვილია, იგი მოხუცებულების ჟამს გაუჩნდა და იმედად მიაჩნია. როცა ახალგაზრდა იყო ოჯახის სიყვარული არ იცოდა, თვეების განმავლობაში ხან სტამბოლში, ხან ვარშავაში, ხან მოსკოვში იყო წასული საქონლის საყიდლად, დროს კარგად ატარებდა, ქეიფი არ აკლდა, მერე ქალებსაც შეეჩვია და თბილისში ჩამოსვლა არცთუ ისე ახარებდა. ჩამოტანილ საქონელს ბითუმად ყიდდა ებრაელ ვაჭრებზე და მაშინვე თვალი გზისაკენ ეჭირა. მგზავრობიდან დაბრუნებისას ერთი ორჯერ მიეალერსებოდა თავის ლამაზ ცოლს, მერე სახარჯო ფულს დაუტოვებდა, ვალების აღებას დაავალებდა და ისევ სტამბოლში, ვარშავაში ან მოსკოვში მიდიოდა. ასე გააჩინა ორი შვილი შამაიკა და ლაფრამა და ასევე დაზარდა ისინი, თუმცა ოჯახს ფუფუნება არ აკლდა, მაგრამ შვილები თავის მამას ძლივს ცნობდნენ, ისე გვიან უხდებოდათ მისი ნახვა. შამაიკა და ლაფრამა მამის მეთვალყურეობის გარეშე გაიზარდნენ, უქნარები, უცოდინარები, არც ვაჭრობისა გაეგებოდათ რამე და არც მუშაობისა, არც თორა იცოდნენ და არც სკოლა. ატარებდნენ თავის ახალგაზრდობას ქეიფში, ქალებთან სიარულში და ავარობაში. როცა ილუშა გაუჩნდა ხანში შესული იყო, მობეზრებული ჰქონდა წოწიალი, ქეიფი და ქალები. სტამბოლში უკანასკნელი ყოფნის დროს ერთი ქალისაგან ავადმყოფობა შეეყარა და სამი თვის წამლობის შემდეგ ძლივს მოირჩინა. თბილისში ჩამოსვლისას ცოლმა მესამე შვილი დაახვედრა, ხოლო ორი უფროსი შვილი კი სახლში არ დახვდა. შამაიკას ვიღაც გენერლის ცოლი შეეყვარებინა და მასთან ერთად პეტროგრადში გაქცეულიყო, ხოლო ლაფრამა კი, თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულ ცირკის მსახიობ ქალს ბაქოში გაჰყოლოდა. ამას ზედ ისიც დაემატა, რომ როცა იგი სოლოლაკში ავიდა თავისი ორი სახლის დასათვალიერებლად, იქ სხვა სახლის პატრონები დახვდნენ. შამაიკას ყალბი მინდობილობა გაეკეთებინა თავის სახელზე და ეს სახლები გაეყიდა, ფული კი, გენერლის ცოლთან ერთად პეტროგრადში წაეღო სახარჯოთ, ხოლო ლაფრამას კი, მისი გასესხებული ხუთი ათასი მანეთი ვალი ებრაელ ვაჭრებისაგან აეღო და ამ ფულით ბაქოში ცირკის მსახიობ ქალს ქეიფებს უმართავდა. ყველა ამან მასზე ისე იმოქმედა, რომ ერთხელ როცა მაგიდასთან სადილად ჯდებოდა, სკამზე დაჯდომის მაგივრად ძირს დაეცა და დამბლა დაცემული ძლივს ძლივობით ლოგინში ჩაანვინეს. არაფერმა არ უშველა, ვერც ხელს ანძრევდა და ვერც ფეხს, ხმას ვერ იღებდა, თუმცა კი აზროვნება საღი შერჩა და ყველაფერი გარკვევით ესმოდა. ვერც ექიმმა სიმხოვიჩმა უშველა, რომელიც იმ დროს მეტად სახელგანთქმული ნევროპათოლოგი იყო და ავადმყოფებს ახალი ელექტრო აპარატურებით მკურნალობდა. როცა არაფერი ეშველა, მისთვის ოთხთვალა გააკეთებინეს და მთელი დღის განმავლობაში აივანზე იჯდა და მოღუშული სახით სალოცავის ეზოს გასცქეროდა. ყველაზე მეტად იმაზე ფიქრობდა, რომ თავის საყვარელ შვილ ილუშას ვერ პატრონობდა და ისიც ისე იზრდებოდა, როგორც მისი უფროსი ძმები.

ილუშა ეხლა ხუთმეტი წლისაა, მისი ხნის ახალგაზრდები ზოგი ვაჭრობენ, ზოგი მუშაობს, ზოგიც სწავლობს. აი თუგინდ ბეცოთ ფაშაი, თექვსმეტი წლისა იყო, როცა თავის მამობილმა ბეცოთ მიხეელამ ცოლი უთხოვა და საქმეზე დააყენა, დუქანი გაუღო, ეს კი, აჰყოლია უპატრონო ბიჭ-ბუჭებს და მთელი დღე ლახტობანას თამაშობს, საღამოთი კი დედას ფულს ართმევს და ტანცი კლასში დაეთრევა, ევროპულ ცეკვებს სწავლობს!

ილუშა მამას უახლოვდება და ჯიბეში ხელს უყოფს, იცის რომ მის მამას, მისთვის ყოველთვის აქვს ჯიბეში შოკოლადი

- მამიკო, მე და ბებურიენთ აბრამაი კინოში მივდივართ.

მამა გაშტერებული თვალებით შეცქერის, ტუჩებს აცმაცუნებს და ვერ კი უთქვამს რამე.

ილუშა ოთახში შედის, კომოდიდან რეპეინი ზეთს იღებს და თმებზე ისხამს, ახალ კოსტუმს იცვამს, დედას ფულს ართმევს და სახლიდან გაქცევას აპირებს.

- სად მიხვალ, შვილო, სულ გარეთ ხომ არ უნდა იყო, ნუთუ არ გეცოდები, მთელი დღე საპყარ ადამიანს ვუნდები და ერთი წუთითაც კი არ მომხედავ ხოლმე, - ეუბნება დედა და არ უშვებს.

- დედიკო, მალე მოვალ, აი კინოში წავალთ, ახალი ამერიკული თორმეტ სერიანი კინო მიდის, იმას ვნახავ და დავბრუნდები. გოგო ხომ არა ვარ, რომ გეშინია?

ილუშა მიდის. მას ქვევით ამხანაგები ელოდებიან, მათ კინოს ფული არა აქვთ და თუ ასეთ არიფ ამხანაგს არ გამოიყენებენ, აბა, რიღას ვაჟკაცები არიან.

ყარბითიც გამოილოცეს. ჯამაათი სალოცავის ეზოში შეგროვილა და ხახამ იეხისკიელს ელოდება, რომ მთვარე აკურთხონ და ახალი თვე შემოილოცონ. ეზოს კუთხეში ახალგაზრდა ებრაელი ნათან ელიაშვილის გატაცებით ლაპარაკს ყურს უგდებენ. ნათანი პალესტინაში ებრაელთა ემიგრაციაზე მოუთხრობს, სიონისტების მეთაურ ჰერცლს ახსენებს და პიროობას აძლევს, თუ ისინი მას და დავით ბააზოვს დაავალებენ მათთვის ვიზების ჩამოტანას, იგი აუცილებლად შეძლებს ინგლისელ ხელისუფალთა დაყოლიებას და მათთვის წმინდა ქვეყანაში, მათს აღთქმულ ქვეყანაში, როგორც მიწას, ისევე სახლ-კარს ოცი წლით ყისტით აიღებს და თან არა მარტო მათთვის, ახალგაზრდა ებრაელი ვაჭრებისათვის, არამედ მათი მოხუცებული მშობლებისათვისაც კი ვიზებს ჩამოიტანს.

ნათან ელიაშვილი მეტად განათლებული და ყოვლისმცოდნე ახალგაზრდაა. იგი ქართველ ებრაელთა სიონისტური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ზედმიწევნით იცის ებრაული ენა, ებრაელთა ისტორია, ქართულ კლასიკურ ლიტერატურაზეა აღზრდილი და დავით ბააზოვის - ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი ებრაელი რაბინის და ლიტერატურული მოღვაწის, სიონისტთა ლონდონის კონფერენციის მონაწილეს მოწაფე არის. სწორედ ნათანმა. დავით ბააზოვმა და მისმა შვილმა გერცელმა ითავეს და დაიწყეს ქართველ ებრაელთა ნაბეჭდი გაზეთის „მაკიაველი“-ს ქართულ ენაზე გამოცემა, რომელიც პროგრესულ ქართველ ებრაელ ახალგაზრდა ვაჭრების და ნეპმანების შენაწირავი თანხების ბაზაზე გამოდიოდა. თუმცა, გაზეთი ძირითადად აღნიშნული წრისა და რელიგიური რწმენის აზრებს გამოხატავდა, მაინც ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში ეს მეტად დადებით მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა ძალიან გაკვრით, მაინც ილაშქრებდა საუკუნეების განმავლობაში ებრაელთა შორის დამკვიდრებულ ცრუმორწმუნეობის, სიბნელისა და უსწავლელობის წინააღმდეგ. ამ გაზეთში უმთავრესად შოვინისტური სულისკვეთებით გამსჭვალული წერილები და ქართულ ენაზე ნათარგმნი ჰეროიკული მოთხრობები და ლექსები იბეჭდებოდა, რომელთა საწყისიც ისევ რელიგიური ეპოსიდან მომდინარეობდა.

ახალციხელ ებრაელთა საზოგადოების მესვეურები, ძველი ვაჭრები და უძრავი ქონების, ქარვასლებისა და სახლების მეპატრონეები ახალი მოძრაობის, ახალი აზრებისა და ახალი ადამიანების მკაცრი მოწინააღმდეგეები იყვნენ. ხახამ დავითის წარმტაცი ორატორული ნიჭი და მის მიერ ყველა დროის რელიგიური ქურუმების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და მარქსიზმის კლასიკოსების მოძღვრების ღრმა ცოდნა მათში უდიდეს გაბოროტებას და ავ სიმშურვალეს იწვევდა. მათ ისიც კი სცადეს, რომ იგი გაუხერემებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ახალგაზრდები გატაცებით უსმენდნენ მის ყოველ ახალ სიტყვას და იგიც რელიგიური დოგმატების საკითხებზე ხახმებთან პაექრობაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა, რადგანაც მან მათზე უკეთესად და უფრო ღრმად იცოდა მიშნა და გემარა, ზოარი და თალმუდი და ამავე დროს იცოდა ყველა ის კრიტიკული და ფილოსოფიური განსაზღვრებანი, რომლებიც ამ წმინდა რელიგიური მსოფლმხედველობისა და დოგმების საწინააღმდეგო მტკიცებებს შეიცავდენ. ხახამ დავითი ებრაელ ახალგაზრდობას მოუწოდებდა სწავლისა და განათლებისაკენ, რომ უფრო მეტად დაეფასებინათ თავიანთი ძველი სამშობლოს - პალესტინის დაბრუნების აუცილებლობა, რომ არ მოსპობილიყო ისრაელთა თესლი მათ აღთქმულ ქვეყანაში, რომ ისინი მეტის თავგამოდებით და მონდომებით ზიარებოდნენ სიონისტთა მოწოდებას ებრაელების ახალი კოლონიების დასახლების შესახებ პალესტინაში.

ხახამ იეხისკიელი, თვალების ძირს დახრით სალოცავიდან გამოვიდა და ჯამაათს შეუერთდა. ხალხს პირი აღმოსავლეთისაკენ მიექცია, თვალებ აპყრობილნი ნამგლისებური მთვარის დაფლეთილი ღრუბლებიდან გამოსვლას ელოდებოდნენ. აი, ისიც გამოცურდა სუფთა ცაზე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე და ჯამაათმა ხახამ იეხისკიელთან ერთად ერთხმად შეჰღაღადა. სალოცავის ეზოს კუთხეში მოგროვილმა ახალგაზრდა ებრაელობამ მათს მაგალითს მოჰბაძა და ეზო შეაზანზარა ,,ადონაის“ შეძახილებმა.

ბეცოთ ესტერამ, ბახანათ მალქამ და წრუწუნათ რიბკამ კინტო თამარას როშჰოდეშის დადგომა მიულოცეს და საჩქაროდ სანთლების ანთებას შეუდგნენ, რომ ლოცვიდან მოსულ თავიანთი ქმრებისა და მამამთილებისათვის დაეხვედრებინათ ახალი თვის დადგომის დღესასწაულის აღმნიშვნელი ჩირაღდნები.

მოზრდილმა ბიჭებმა დიდი ხანია რაც დაამთავრეს ლახტობანას თამაში

ფინეხასი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

იაკობ დავითაშვილი

ჩვენი კვირის თავი იწყება განცხადებით, რომელსაც თვით გამჩენი ღმერთი აცხადებს და ამცნობს კაცობრიობას კაცზე, რომელიც ერთი შეხედვით არის მკვლელი ისრაელი ადამიანისა, ფინეხას ბენ ელყაზარ ბენ აჰარონ ჰაქოჰენ, რომ მან მოხსნა გამჩენის რისხვა ისრაელებზე იმის გამო, რომ მათ დაიწყეს მრუშობა მოაველ ქალებთან; იმით, რომ მან აიღო შუბი და ერთად ააგო მასზე შმყონის შტოს წინამძღოლი და მისი საყვარელი ქალი, რაც ჩვეულებრივი ებრაული იურიდიული კანონ სამართლით არ შეუძლია ადამიანს გააკეთოს. თუმცა ფინეხასს ეს ჩაეთვალა დიდ მადლში რის გამოც მას გამჩენმა მისცა სამუდამო სამშვიდობო აღთქმა და ის, რომ ფინეხასი იქნება იმ დღიდან მშვიდობის მაუწყებელი ისრაელებისა უკუნისი უკუნისამდე.

ისმის რამოდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემა დიდი სწავლება იქნება ჩვენს მსოფლმხედველობაში და კერძოდ ისრაელის გამჩენთან სამსახურის ფილოსოფიაში. ერთი, თუ როგორ შეძლო რიგითმა ისრაელმა ფინეხასმა მიაღწიოს შტოს მეთაურამდე და მოკლას იგი? მეორე რატომ რომ არ ითვლება იგი ჩვეულებრივ მკვლელად?

ხუმაშ „ბერეშით“-ში გვასწავლის თორა: „და შექმნა უფალმა ღმერთმა ადამიანი მტვერისაგან მიწისა და ჩაჰბერა მას პირში სული ცოცხლებისა და იყო ადამიანი სული ცოცხალი“. სიტყვა „და შექმნა“ - „ვაიცერ“ ებრაულში, ფუძე შედგება ასოებისგან, რომლებიც გამოხატავენ „რაცონ“ - სურვილს, ანუ ადამიანის შექმნის ერთერთი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს სურვილები და ხახმების ერთერთი გამოთქმით ადამიანი ეს არის მისი სურვილები. სურვილი შეიძლება იყოს ან კეთილი ანდა ღმერთმა ნუ ქნას ბოროტი, და გამომდინარე მისი სურვილისა ვამბობთ თუ ვინ არის ადამიანი.

ადამიანს მისი სურვილისაბრ ყოველთვის აქვს რაღაც მისწრაფება და მიზანი, თუმცა ხშირად ჩვენ გვგონია მიზანს ვერ მივაღწევთ მიუხედავად იმისა სურვილიდიდი გვაქვს. მაგრამ თორა გვასწავლის და ამის მაგალითსაც მოვიყვანთ, რომ თუ ადამიანს სურს ის მიაღწევს საწადელს. კი, მაგრამ მინდა და ფაქტია ვცდილობ და ვერ ვაღწევ? ეს იმის მაჩვენებელია მე არა თუ მინდა მართლაც, არამედ მე მინდა მინდოდეს, რადგანაც თუ მე მინდა აუცილებლად მივაღწევ მიზანს, სხვანაირად ის პრინციპი, რომელიც ზემოთ ავღნიშნეთ - ადამიანი გაჩენის არსი მისი სურვილების რეალიზაციაშია, ირღვევა. მოვიყვანოთ მაგალითი თორიდან. თორა ეს არ არის ისტორია, იგი ადამიანი ვნებების სრულყოფის სკოლაა, როგორც იძახოდა რავ ისრაელ სალანტერი: უნივერსიტეტებში ზრდიან ექიმს, ინჟინერს, და ა.შ. ხოლო ჩვენთან იეშივებში ზრდიან ადამიანს. შემთვევით არ არის, რომ ფინხასის საქციელს წინ უსწრებს კაცბრიობის ისთორიაში ერთერთი უწმინდური და ბოროტი ადამიანის საქციელი. ეს იყო ბილყამი, რომელსაც უნდოდა დაეწყევლა ისრაელები და ამის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მიუხედავად მისი უზომო ძალებისა და შემეცნებისა, კაცს, რომელსაც ადარებენ მოშე რაბენუს ჭინასჭარმეტყველების უნარით, რომელმაც იცოდა თუ რას ფიქრობდა გამჩენი ნებსმიერ დროს, შეეძლო გამჩენთან ლაპარაკი; მიუხედავად იმისა გამჩენი აფრთხილებს არ წახვალ, არ დაწყევლი ისრაელ, ის კურთხეული ერია, მიდის მაინც, გზაზე ხედავს უამრავ ნიშნებს იმისას, რომ გაჩერდეს, თუნდაც ის, რომ მისი ვირი იწყებს ლაპარაკს, ალბათ ჩვენ მის ადგილზე გონებას დავკაეგავდით, მაინც მას აქვს სურვილი დაწყევლოს ისრაელი და წინ ვერაფერი დაუდგება, თითქოსდა თვით გამჩენიც კი. და ამაზეა ნათქვამი „კაცს, რომელი გზითაც სურს წავიდეს იმ გზით წაიყვანენ. თუმცა ვიცით, რომ წყევლის მაგივრად გამჩენის დავალებით იგი სამჯერ აკურთხებს ისრაელს, კურთხებები ისეთი თვით მამებისგანცრომ არ მიუღია ისრაელს. მაგრამ რაც შეეხება ჩვენს კითხვას, თუ როგორ შეძლო ფინეხასმა მიეღწია და მოეკლა შტოს წინამძროლი, პასუხი ბილყამის გამარჯვებაა; მან მიუხედავად გამჩენის პროტესტისა მაინც შეძლო და მისი რჩევით, გაეშვათ მოაველებს მათი ქალიშვილები ისრაელებთან სამრუშოდ, დაიხოცა 186 ათასი კაცი. ფინეხასი და ყოველი ჩვენთაგანიც რა თქმა უნდა, ვსწავლობთ ბილყამის მაგალითიდან, თუ ადამიანს აქვს სურვილი, თითქოს და გამჩენიც ვერ უდგება წინ, თუნდაც ისეთ ბოროტ ადამიანს, როგორიცაა ბილყამი, რომელსაც ეს სურვილი სიცოცხლის ფასადაც კუ უჯდება. აქედანაა გამოთქმა – სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება.

მეორე, თუ რატომ არ ეთვლება ფინეხასს ეს საქციელი ცვეულებრივ მკვლელობაში, და როგორც ამას იძახის მიდრაში, ისრაელები აძაგებდნენ ფინეხასს ეს კერპთაყვანის მცემლის შვილიშვილი, როგორ გაბედა ისრაელის შტოს ხელმძღვანელის მოკვლა, საიდანაც სჩანს, რომ ხალხი თვლიდა მისი საქცილელის საწყისი არ იყო ჭეშმარიტება. თუმცა მის მერე, რაც თორა თავიდანვე აღნიშნავს ჩვენს კვირის თავში, რომ ფინეხასი იყო ელყაზარის შვილი, შვილისა აჰარონისა, აჰარონი, რომელიც იყო მშვიდობის ეტალონი ჩვენს ისტორიაში; ვხედავთ, რომ გამჩენი, რომელიც იხედება ადამიანის გულში გვამცნობებს ფინხასის შურისძიებას გამჩენის სახელის მოსადიდებლად აქვს ბსოლუტურად მშვიდობიანი საწყისი ყოველგვარი პირადი ინტერესის გარეშე, იძიოს შური ქამჩენისათვის და როგორც ცნობილია ჰალახაა/კანონი ასეთი საქციელისთვის, როგორიც ჩაიდინა ისრაელის შტოს წინამძღოლმა ზიმრი ბენ სალუ–მ შურის მაძიებელს შეუძლია მოკლას კიდეც ყოველგვარი სამართლის გარეშე.

და ბოლოს უნდა ითქვას ფინეხასის მაგალითიდან. ადამიანი გაჩნდა აკეთოს მოწყალება და სიკეთე, როგორც ჩვენ ვლოცულობთ სამჯერ დღეში და ვამბობთ – ღმერთო ავრაამისაო, ავრაჰამი, რომელიც იყო გამჩენის აბსოლუტური მოწყალების მატერიალური განსახიერება; გაჩნდა ადამიანი ადიდოს გამჩენის სახელი და ამისთვის თავიც გაწიროს თუ საჭიროა – ღმერთო იცხაკისაო, იცხაკი ღმერთის ძლიერებისა და შეუპოვრობის მატერიალური განსახიერება, გამჩენისადმი თავგანწირვის ეტალონი; და ბოლოს ვამბობთ – ღმერთო იაყაკოვისაო, იაყაკოვი გამჩენის ჭეშმარიტების მატერიალური გამოვლინება, სიმბოლო სიმართლისა.

ადამიანმა შეიძლება აკეთოს სიკეთე და მოწყალება – ღმერთო ავრაჰამისაო, გასწიროს თავი – ღმერთო იცხაკისაო; მაგრამ თუ ყველაფერ ამას საწყისად არ ააქვს ჭეშმარიტება, რომ ადამიანი აკეთბს აბსოლუტურად გამჩენის სახელზე, ყოველივე პირადი ინტერესის გარეშე – ეს მოწყალების კეთება, ეს თავგანწირვა იქნება სინამდვილეში ტყუილი და ბოროტების საწინდარი.

რმერთმა ინებოს იყოს ჩვენი ყოველი საქციელი ჭეშმარიტი, ამენ.

►►►

მოედანზე. იჟოთ ხაიმა და ბერიძეთ ხაიმა ნანაზიაშვილ ილუშას კინოში წაყვნენ. ბახანათ სონკამ და ციციათ ხაიმამ ბეცოთ არონკას ხელი მოკიდეს და სალოცავის ეზოდან გამოსულ ნათანს დაედევნენ, ლაპარაკი დაუწყეს და მანაც, თავის შვილ მოშკასთან ერთად ისინი თავის სახლში წაიყვანა, რომ მათთვის სქელტანიანი წიგნები ენახებინა, სადაც ბევრი ნახატები იყო და რომელსაც იგი ენციკლოპედიას ეძახდა. გორელიენთ ილიკო თავისმა ძმა ეფრომ დაუძახა: - მოდი, სასადილოში მომეხმარეო (მას ებრაული სასადილო ჰქონდა). ქეცოთ გაბრო და „თაგვების კომისარი“ იოსკა სალოცავის ეზოში შევიდნენ თავიანთი მამების შესახვედრად, ფიშტოს შვილი, სოლომონა, თავისი კარის რიდეზე ჩამოჯდა და თავის დედას ყუბელურად დაუწყო ლაპარაკი, ხოლო ხახამ იოსების შვილი, დათიკო კი, სალოცავის ეზოსთან თავის ბრმა მამას ელოდებოდა, რომ ხელმოკიდებული სახლში მიეყვანა.

ჯამაათმა ახალი მთვარის შემოლოცვა გაათავა. ხალხმა მუსაიფით დაიწყო სალოცავის ეზოდან გამოსვლა. ხახამ იაყობი, სრულიად კავკასიის ებრაელთა რაბინი, ნელი ნაბიჯით მიემართება თავისი სახლისაკენ, რომელიც სალოცავის ახლოს არგუთინის ქუჩაზე მდებარეობს, მოხუცები უკან მოწიწებით მიყვებიან. ხახამ მიხეილი, რაღაცაზე განაწყენებული, თავის შვილს, ლევიას, უყვირის და ცემით ემუქრება.

ნანაზიათ მიმნა ოთახიდან გამოდის და თეთრი ხელებით რაღაცას ანიშნებს თავის საპყარ ქმარს, მერე ოთხთვალას ხელს ჰკიდებს და ოთახისკენ მიჰყავს.

სალოცავის წინა მოედანი ცარიელდება. სალოცავშიც სანთლები უკვე ჩააქრეს და შამაშმა ლოცვის კარები დიდი კლიტით დაკეტა. ქუჩაზე მყუდროება და სიბნელე ჩამოწვა. კანტიკუნტად თუ ჩაიქროლებენ ეტლები ან ჯაგლაგა დროგები. ეფროს სასადილოდან დროგამოშვებით ნასვამი ხალხის ხმაური ისმის. ნიავი არ ქრის. ცხელა. შემხუთველი ჰაერია, ნარიყალა ზვიადად გადმოყურებს ებრაელთა უბანს და მთიდან უბრალო სიოსაც კი არ უგზავნის.

დაღამდა. ებრაელთა სახლების გაღებული ფანჯრებიდან მიყრუებული შეძახილები თუღა ისმის, ისიც კი ამ შეძახილებში უფრო მეტად თუ „ადონაი“ - შეძახილი გამოირჩევა.

უბანი იძინებს, რომ ხვალ დილა უთენიეს ისევ შეუდგეს ადონაის შეძახილს, ვაჭრობას, წოწიალს და რელიგიური დოგმების გამეორებას.

თავი მეორე

ბაქოში ბოლშევიკები შევიდნენ, ვლადიკავკაზშიც წითლები იყვნენ და პირი ჯვრის უღელტეხილისკენ ჰქონდათ მობრუნებული. ქართველი მენშევიკები ხაფანგში იყვნენ გამომწყვდეულნი. ინგლისელებმა გასაქცევად კრეისერები მოამზადეს. მენშევიკებმა და ქართველმა არისტოკრატიამ ამ კრეისერებზე საქართველოს უძვირფასესი სიმდიდრე დატვირთეს და დარჩენილი ბარგისა და თავისი ახლობლებისათვის რკინიგზის ეშელონებს ამზადებდნენ. ქალაქში ხმა დააგდეს, ინგლისელებმა ბათუმში დიდძალი ჯარი გადმოსხეს ჩვენს დასახმარებლად და ეშელონებს მათ გადმოსაყვანად ვამზადებთო. ქალაქის მისადგომებზე ბადრაგები დაუყენეს, ოთხ-ოთხი კაცი ქალაქის ხიდებს და რამდენიმე ათეული რაზმელი-აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარს. ისინი თოფებით და მაუზერებით მოამარაგეს, მაგრამ ტყვიები არ მისცეს. იდგნენ და ელოდებოდნენ ინგლისელებს, რომ სასროლი მოეტანათ. მეიდნის ხიდის დამცველებად ორი ებრაელიც იდგა – ფაშა კრიხელი და ხაიმ აბრამაშვილი. ორივე ახალგაზრდები იყვნენ და ჯერ ხელში თოფი არ სჭეროდათ. შიშით გული მისდიოდათ. თან ცოლ-შვილის დარდი ჰქონდათ, რომლებიც სარდაფებში ყავდათ გადამალული. ეშინოდათ, ბოლშევიკები სხვა გზით არ შემოსულიყვნენ ქალაქში და მთელი ხალხი არ ამოეხოცათ. მათი ცოლები საერთო სახლებში არ შეეგდოთ და ყველას ხელმისაწვდენად არ გაეხადათ. ბავშვები ქვაბებში არ ჩაეყარათ და საჭმელად არ მოეხარშათ. ასეთი ხმები ჰქონდათ გავრცელებული მენშევიკებს ქალაქში, ამასვე ავრცელებდნენ მდიდარი ვაჭრები და უვიცი და ბნელი ებრაელობა შიშით ძრწოდა. მთელი კვირის სარჩო სარდაფებში ჰქონდათ ჩატანილი და უბრალო ხმაურზე ცახცახებდნენ.

შალომმა მთელი მონაგები ქონება ინგლისელ უაიტს ჩააბარა, რომელმაც 23 თებერვალს თავი უკვე ბათუმში ამოყო და გემში ჩაჯდა. შალომიც ორი დღის შემდეგ თავისი ცოლშვილით იქვე უნდა გაჩენილიყო, მაგრამ 24 თებერვალს, როცა გადატვირთულ ეშელონში ჩაჯდომას აპირებდა, მატარებელში არ აუშვეს, ვიღაც მაუზერისტებმა ჯერ მისი ნაყომი და შიმშონი აგორავეს ბაქანზე, მერე მასაც მაგრად სცემეს, არც ბარგი დაუბრუნეს და არც ბოღჩები. შალომმა ყვირილი და გაძალიანება დაიწყო. ამ დროს მატარებელი დაიძრა, შალომი კიბეებს შეახტა და ვაგონში შესვლა მოინდომა. ხალხი კიბეებზე იყო ჩამოკიდებული და არ უშვებდნენ. ერთმა მაუზერისტმა იარაღი იძრო, მაუზერის ტარი საფეთქელში ჩაარტყა, თანაც წიხლი ჰკრა და დასისხლიანებული შალომი ბაქანზე გააწვინა. მას ყური არავინ ათხოვა. ნაყომმა ხელმოკიდებული შიმშონი მასთან მიიყვანა და შალომს მოსულიერება დაუწყო, მაგრამ მას ამ ქვეყნისა აღარაფერი ეტყობოდა. თვალებგადმოტრიალებული ეგდო და აღარ სუნთქავდა. მატარებლის ბოლო ვაგონი ხიდს გასცდა და სადგურში აღარავინ იყო. ნაყომი თმებგაწეწილი, კაბა ჩამოხეული შალომის ცხედართან ჩაჩოქილი იჯდა და მოთქმით ტიროდა. შიმშონი კი მუშტებით თვალებს იწმენდდა. ასე გავიდა თითქმის ერთი საათი. შემდეგ ნაყომი ფეხზე წამოდგა, სადგურის მუშების დახმარებით ცხედარი დროგზე დაუდო, ზედ ნაყომი და შიმშონი დაჯდნენ და ქალაქისკენ გამოსწიეს. სომხის ბაზართან ეფრო გორელაშვილი შემოხვდათ. დროგი გააჩერებინა, ცხედარი ზურგზე მოიკიდა და თავის სახლის

რომის პაპი ფრანცისკი: ყოველი ქრისტიანის სულში ებრაელი ზის

რომის პაპმა ფრანცისკმა იუდოფილიაში თავის ყველა წინამორბედს გადააჭარბა: მისმა წინამორბედმა იონე პავლე მეორემ ებრაელები „ქრისტიანობის უფროს ძმად „გამოაცხადა, ფრანცისკ პირველი კი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ: „ყოველი ქრისტიანის სულში ებრაელი ზის“ და დასძინა: „თუ შენს ებრაულ ფესვებს არ აღიარებ, შეუძლებელია იყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. ებრაელი არა რასიული, არამედ რელიგიური თვალსაზრისით“.

ფრანცისკმა თქვა, რომ ყოველდღე ბიბლიური მეფე დავითის ფსალმუნების ენით ლოცულობს, როგორც ებრაელი და შემდეგ როგორც ქრისტიანი, ატარებს ევქარისტიის წესს.

ესპანური გაზეთ „ლა გვარდიასათვის “მიცემულ მოზრდილ ინტერვიუში პონტიფიკმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის დიალოგმა უნდა გამოიკვლიოს ქრისტიანობის იუდეური ფესვები და „იუდაიზმის გაფურჩქვნა ქრისტიანობაში“. რომის პაპმა აღიარა, რომ ეს არცთუ იოლი, ფეთქებადსაშიში თემაა, „ცხელი კარტოფილიაო“, თუმცა, გამოსთქვა რწმენა,რომ „შესაძლებელია ძმებივით ვიცხოვროთ“.

რომის პაპმა დაგმო ყოველგვარი რელიგიური ფუნდამენტალიზმი, ფუნდამენტალიზმის საფუძველი ძალადობა გახლავთ, ჩვენს ეპოქაში კი „ღმერთის სახელით ძალადობა აბსურდიაო“.

რომის პაპმა უპასუხა შეკითხვას, თუ რამ განაპირობა ის,რომ „ქარიშხლის გულში“ — ახლო აღმოსავლეთში გაემგზვრა? პაპის თქმით, გაემგზავრა იმიტომ რომ ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა მიიწვია, მას კი პრეზიდენტობის კადენცია ეწურებოდა და უნდა მეჩქარაო.

— ყოველი ქრისტიანი უნდა გაემგზავროს წმინდა მიწაზე, რადგან ყველაფერი იქ დაიწყო, იქ ზეცა მიწაზე ჩამოვიდა. იქ შეიძლება შევიგრძნოთ, თუ რა გველოდება მომავალ სიცოცხლეში — ზეციურ იერუსალიმში.

დანაშაულებრივი გულგრილობისათვის

როგორც ცნობილია, 12 ივნისს „ხამასის“ მიერ გატაცებული სამი მოზარდიდან ერთ-ერთმა მოახერხა პოლიციაში დარეკვა. იმის შესასწავლად ამ ზარის შემდეგ, თუ როგორ მოქმედებდა პოლიცია, შეიქმნა კომისია. კომისიამ თავისი დასკვნა წარუდგინა პოლიციის გენერალურ ინსპექტორს იოქანან დანინოს.

როგორც პოლიციის პრესსამსახური იტყობინება, კომისიამ ბრიგადის გენერალ მოშე ბარკათის მეთაურობით იუდეისა და სამარიის სასწრაფო გამოძახების („მოკედ—100“) მუშაობაში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა.

კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ გატაცებული მოზარდის ზარს 22 საათსა და 25 წუთზე უპასუხა ჯარისკაცმა, რომელიც სამხედრო სამსახურს პოლიციაში გადის.. ჯარისკაცმა მიიჩნია, რომ საქმე აქვს საგანგებო შემთხვევასთან და ზარის თაობაზე ზემდგომ პოლიციელს მოახსენა. პოლიციელმა ქალმა კიდევ ერთ ოპერეტიულ მუშაკთან ერთად მოისმინა საუბრის ჩანაწერი და ორივემ ერთად ეს ზარი სერიოზულად არ მიიჩნიეს. ამიტომ შემოსული ინფორმაცია ხელმძღვანელობას არ გადაეცა.

იოხანან დანინომ განკარგულება გასცა თანამდებობიდან დაუყონებლივ გადააყენონ იუდეისა და სამარიის ოპერატიული განყოფილების ოფიცერი, სამსახურიდან ასევე დაითხოვეს; კონტროლის ცენტრის მეთაური, ცვლის უფროსი, „მოკედ100“ რეგიონალური სამსახურის უფროსი.

ოპერატიული განყოფილების მეთაურს გამოუტანეს სასტიკი გაფრთხილება პირად საქმეში შეტანით.

ანტისემიტიზმი ციფრებში

ამერიკის სამართალდამცავმა ორგანიზაციამ — ანტიდიფიმაციური ლიგა შეისწავლა, თუ როგორ, რა დოზით არის გავრცელებული მსოფლიოს ქვეყნებში ანტისემიტიზმი. ეს გახლდათ ანტისემიტიზმის ყოვლისმომცველი შესწავლა. გამოკითხვა ჩატარდა მსოფლიოს 102 სახელმწიფოში. გამოიკითხა 53 ათასი ადამიანი. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 26%, ე.ი. ერთი მილიარდი ადამიანი ანტისემიტური იდეების მატარებელია. ამათგან 70% გამოტყდა, რომ პირადად არასოდეს არ შეხვედრიან ებრაელებს. გამოკითხულთა 54% არაფერი სმენიათ ჰოლოკოსტის თაობაზე, ან თუ სმენიათ, ფაქტებს დამახინჯებულად მიიჩნევენ.

ანტისემიტური განწყობილება ყველაზე უფრო ძლიერია ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. პალესტინელთა 93% ანტისემიტური ორიენტაციისაა. ერაყში ასეთია 92%, იემენში 88%, ალჟირში და ლიბიაში—87%, ტუნისში—86%, კუვეიტში—82%, ბაჰრეინსა და იორდანიაში—81%, მაროკოში 80%. ანტისემიტიზმის ყველაზე დაბალი დონე აღინიშნება ირანში—56%.

აღმოსავლეთ ევროპაში ანტისემიტად შეიძლება მიჩნეული იქნას მოსახლეობის 34%, დასავლეთ ევროპაში—24%, დიდ ბრიტანეთში ანტისემიტიზმი 8%-მდე აღწევს, აშშ-ში—9%, რუსეთში—30%,უკრაინაში—38%. ევროკავშირის ქვეყნებში ანტილიდერად საბერძნეთი გვევლინება—მოსახლეობის 69% ანტისემიტური განწყობილების მატარებელია.

►►►

კარამდე ისე მიიტანა. ეფროს სახლი სინაგოგის გვერდით იყო. სარდაფებიდან მოხუცები და ქალები ამოცვივდნენ, მყისვე მონახეს ხახამ იეხისკიელი, მიცვალებული სუდარაში გახვიეს, სალოცავის კუბოში ჩააწვინეს. ხახამ იეხისკიელმა კადიში უთხრა და მაშინვე სასაფლაოსკენ გააქანეს, ერთ საათში დამარხეს და ისევ უკან გამობრუნდნენ. მოხუცები და ქალები ისევ სარდაფებში ჩაძვრნენ და შიშით კანკალებდნენ. სალოცავში მუხლმოდრეკილი ხახამ იეხისკიელი ღმერთს ისრაელის ერის „გეულას” ევედრებოდა. ფაშა კრიხელი და ხაიმ აბრამაშვილი ისევ მეიდნის ხიდს იცავდნენ, ეფრო თავის სასადილოში არყისა და ღვინის ბოთლებს მისჯდომოდა, ზოგს სვამდა და ზოგს კი სავსეს ისროდა და ამტვრევდა. ნაყომი და შიმშონი თავის სახლში, კლდის უბანში წაბარბაცდნენ და სანთლის შუქზე ტიროდნენ. 24 თებერვალს ღამე ებრაელთა უბანში მწუხარებით, ტირილით, შიშით და ძრწოლვით დაიწყო.

ღამის ცხრა საათი იქნებოდა, როცა ფაშა და ხაიმა ყარაულობიდან დაბრუნდნენ. ცოლშვილს სარდაფში მიაკითხეს. შიშით კანკალებდნენ. თოფები წყალში გადაეყარათ და გამოპარულიყვნენ. ქალაქში მენშევიკების ჭაჭანება აღარ არისო, ბოლშევიკები ყარაიაში არიანო – მოიტანეს ამბავი. ბახანათ დავითის ფართალი შეკვრებით სარდაფში ჩაეტანა და ცოლშვილთან ერთად მასზე იძინებდა. ახალი პური არავის ჰქონდა, დაობებულ პურს სჭამდნენ და თან ფართალს უფრთხილდებოდნენ – უფრო მეტ გაჭირვებაში გამოგვადგებაო. ფაშა კრიხელის ცოლს ესთერას, რომელიც ფეხმძიმედ იყო, შიშით მუცელი ასტკივდა, კივილ-წივილი მორთო. მისმა დედამთილმა ბეცოთ რახელამ, რომ ვერაფერი უშველა, კინტო თამარას დაუძახა – მოგვეხმარეო, ქალი ლამის ხელიდან გამოგვეცალოსო – თან ხელების კანკალით ეზოში სამოვრის ადუღება დაიწყო, რომ ცხელი წყალი მზად ჰქონოდა. დედის კივილზე შვილებმაც გამოიღვიძეს. არონკა და მიშკა მამას მუხლებზე შეაცოცდნენ და კისერზე ხელები შემოაჭვდეს. ბეცოთ მიხეელამ, რომელსაც მალაკანი მუშტრები ჩორნი მიხაკას ეძახდნენ – მისი ძალიან შავი წვერისა და თვალწარბისათვის – თავისი ცოლი რახელი გვერდზე გაიხმო და რაღაცის ახსნა დაუწყო. მერე ბავშვებს ხელი დაავლო, სარდაფიდან გამოიყვანა და მეორე სართულზე ოთახში შეიყვანა.

- რახელ, იცოდე თუ კიდევ გითქვამს სარდაფში დავიმალოთო, თავს გავიტეხავ, - თვალების ბრიალით მიმართა ბეცოთ მიხეელამ ცოლს. – ბოლშევიკები კაციჭამიები ხომ არ არიან, ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ყველა.

- როცა ამოგვხოცავენ, მაშინ რას იტყვი, ეხლა რომ ძალიან გაჰკივი, - გამოსძახა მეორე სარდაფიდან ბახანათ დავითამ.

- ხალხს რომ ეგრე იოლად ხოცავდნენ, ამოდენა მუშა ხალხი მათ მხარეზე არ იქნება. შენს თავს გაუფრთხილდი, ფართალი არ დაგეკარგოს.

- რა უნდა გელაპარაკო, თორა შენ არ იცი და ამ ქვეყნისა არაფერი გაგეგება. როცა შემოვლენ, მაშინ ნახავ რა დღეშიც ჩავარდები?

- უბედურებას შეჩვეული ვარ. ბრალი იმისა, ვისაც კარგის მეტი არაფერი ცუდი არ უნახავს. ხუთ ფუთიანი ბოღჩები სოფლიდან სოფელში ზურგით მიტარებია. კაპეიკობით მიფარნასია და ცოლშვილი ისე შემინახავს!

- ეგ კაპეიკებიც აღარ გექნება, შე საწყალო!

- ღმერთი პატრონია, ბნელ ღამეს მზიანი დილა მოსდევსო ნათქვამია, სადაც სხვა, იქაც მე, ვისზე უკეთესი ვარ.

ბეცოთ რახელამ სამოვარი სახლში აიტანა. უკან ქმარი მისდევდა და ბურდღუნებდა:

- დასამალი არაფერი გვაქვს, რაც ხალხს, ისიც ჩვენ.

ქვედა სართულიდან, რომელიც ნახევარ სარდაფს უფრო ჰგავდა, ჭიანურის დაკვრის ხმა ისმოდა. აშიღ არონა, რომელიც ორივე თვალით ბრმა იყო, ჭიანურზე მზისა და სინათლის სიმღერას უკრავდა. კუთხეში ზეთის ყანდელი ენთო, რომლის შუქი ოთახში ლანდებად ირხეოდა. აშიღ არონას გვერდში ქალიშვილი დებორა უჯდა, ისიც ორივე თვალით ბრმა, მხოლოდ ძალიან ლამაზი და სანთელივით ჩამომდნარი. ორივე მღეროდნენ დაბალი ხმით, ტკბილად და შეწყობილად.

ყასაბ იჟოთ აბრამას ოთახიდან გინება და ლანძღვა, თეფშებისა და სკამების მტვრევის ხმა გამოდიოდა. იჟოთ აბრამა დამთვრალიყო და როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, მიუხედავად ბოლშევიკების შემოსვლის საშიშროებისა ცოლშვილს სცემდა, სკამებს ამტვრევდა. თავისი ცოლი მალქა, შვილები ხაიმა, კომბლე არონკა, კოწოლა იოსკა, ლუბა, როზა და ხანიჩკა ოთახიდან წიხლის კვრით გამოიყარა. ხმაურზე, დარაბიდან ფიშტომ თავი გამოჰყო და იჟოთ აბრამას ცოლ-შვილი თავისთან შეიყვანა.

მალე კინტო თამარი ბეცოთ სახლიდან კარტის სათამაშოდ მეორე ეზოში წრუწუნათ რიბკასთან შევიდა. ქუჩაში ბნელოდა; ციოდა; სალოცავის ფანჯრებიდან ოდნავი სინათლე ბჟუტავდა.

25 თებერვალს დილით მეეზოვე შალომამ ახალი ამბავი მოიტანა. ბოლშევიკები შემოვიდნენ, უკვე მეიდანში არიან, არავის არ იჭერენ და არ ხოცავენო. თავზე ძაბრის ქუდები ხურავთ და რუსულად მღერიანო.

ხალხი ქუჩებში გამოეფინა. უბნის ბავშვები, ბეცოთ არონკა და ქეცით გაბრო, თაგვების კომისარი იოსკა და გორელიანი ჩიკონა ჯარს თავში მოექცნენ და სამხედრო ორკესტრის მარშის ხმაზე ძაბრის ქუდიან წითელ არმიელებს ფეხაწყობით მისდევენ. მათ ხელს არავინ ახლებდა და არ უჯავრდებოდა. სალდათები იცინოდნენ და ხალხს ესალმებოდნენ. ჯარის გავლის შემდეგ მეეზოვეებმა ქუჩისდასაგვეული ცოცხები მიწაზე დაყარეს, ქუჩაში გამოჩენილ მდიდრებს და გალსტუკიან მოქალაქეებს დევნა დაუწყეს, აჩერებდნენ და ხელში ძალით ცოცხს სჩრიდნენ და ქუჩას აგვეინებდნენ. ქუჩაში ხმაური და სიცილ-ხარხარი, ბავშვების ჟრიამული და სირბილი იდგა. გორელიენი ეფრო თავის სასადილოდან მთვრალი გამოსულიყო, ვიღაც მეარღნე კინტოს არღანს აკვრევინებდა და თან გაყვიროდა – გაუმარჯოს წითელ არმიას და ბოლშევიკებსო.

ქალაქის აივნებზე და ფანჯრებზე წითელი დროშები იყო გამოფენილი. ერევნის მოედანზე მიტინგი იყო გამართული და მთელი ხალხი იქით მიდიოდა, რომ მოესმინათ რას იტყოდნენ ბოლშევიკების უფროსები: სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე, ორახელაშვილი და საშა გეგეჭკორი.

ხალხი ერთმანეთს ულოცავდა. მდიდრები ღარიბებს ხელს ართმევდნენ და უცინოდნენ. ხალხში ეპატიჟებოდნენ. სად გაქრა მათი ქედმაღლობა და ათვალწუნებული გამოხედვა? ხახამ იაყობმა სალოცავში ღმერთს ახალი მთავრობის დღეგრძელობა შეავედრა. საიდანღაც ლენინისა და ტროცკის სურათები გამოძებნეს, ჯამაათისგან დეპუტაცია ამოირჩიეს და ახალი მთავრობის შესახვედრად ერევნის მოედანზე გაგზავნეს. დეპუტაციაში გარდა ღარიბი ებრაელებისა გუჯიათ აბრამა, ბახანათ დავითა და შათარათ იაყობიც იყო. სიტყვის წარმოთქმა დავით ბაზოვს დაავალეს, როგორც ქართულად განსწავლულ კაცს და მაღალ საზოგადოებაში ნამყოფს. მას გვერდში ნათან ელიაშვილი ამოუყენეს, რომელიც ისევე, როგორც დავით ბაზოვი თავგამოდებული სიონისტი იყო, მაგრამ ქართული კულტურა უფრო ღრმად ჰქონდა შეთვისებული და ბრწყინვალე ორატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003